K 6260/2

ისტორია

ქართული გაზეთების და ჟურნალებისა

ტ. ჯიჯინაძისა

17835. [illegible] 1 [illegible] - (97) [illegible]



თფილისი
ბეჭდა ტ. მ. როტენიანცისა Типографія Т. М. Ротенянца № 41.
1902

Дозволено цензурою, Тифлисъ. 23 Января 1902 года.

ისტორია

ქართულ გაზეთების და ჟურნალების გამოცემისა

1817—1900 წ.

ქართველთ შორის გაზეთ-ჟურნალის გამოცემის დასაწყისი 1817 წლიდამ იწყება. რაც შეეხება ქართველთაგან გაზეთების კითხვას და გაცნობას, ეს კი ქართველთ ადრიდგანვე იცოდენ. ე. ი. XVIII საუკუნეში. მაშინდელ ბატონიშვილებს ერთობ ხშირად უხდებოდათ რუსეთში მგზავრობა და ცხოვრება, ესენი იმ დროის რუსულს გაზეთებსაც ადევნებდნენ თვალ-ყურს და ყოველთვის ჰკითხულობდნენ. მეტადრე თვალ-ყურს აპყრობდნენ იმ გამოცემებს, სადაც კი ქართველის ერის და საქართველოს ცნობებს ჰბეჭდავდენ. რუსულ გაზეთებს გარდა ქართველნი ფრანგულს გაზეთებსაც აქცევდნენ ყურადღებას, რადგანაც ფრანგულს გაზეთებშიაც იბეჭდებოდა ხშირად საქართველოს შესახებ ცნობები. მაგალითად: ფრანგულს გაზეთებში ქართველთა მეფე ქაიხოსრო და ლეონ ირანთა მსაჯული პირველად 1710 წ. აქეს. 1736 წ. აბატმა მილოთმა აქო ქართველნი და საქართველო, და კოსტანტინეპოლის ფრანგთა ელჩმა პეისონელმა მეფე ერეკლე 1764 წ. შეაქო. სხვა-და-სხვა დროსაც ხშირად უქიათ ხოლმე ქართველნი.

დიახ, ქართველთა ჟურნალ-გაზეთის გამოცემის საქმე და მნიშვნელობა ადრიდგანვე იცოდენ, მხოლოთ ბედშავმა გარემოებამ, მუსულმანთ სიმრავლემ და შინაურმა მდგომარეობამ არ მისცეს ნება, რომ გაზეთის გამოსაცემად ეზრუნათ. თუმც ისიც უნდა ვსთქვათ, რომ საქართველოში 1787 წ. გაზეთის მსგავსად ფურცლების ბეჭდვაც იწყეს, რომელ ფურცლებზედაც მოთავსებული იყო სხვა-და-სხვა აკროსტიხური ლექსები, სიტყვები და მეფეთა ქებანი. ესეთი ფურცლები ერთობ მცირედ იბეჭდებოდა, დაბეჭდილებს მეფის შვილებს და შვილის-შვილებში არიგებდენ. არ შეიძლება, რომ ამ ფურცლების სადმე არა აღმოსჩნდეს რა. ამავე დროს უკვე წინ წაეიდა ქართველთ შორის სხვა-და-სხვა განცხადებების ბეჭდვაც. რაც შეეხება ზოგიერთ პირებს, რომლებიც საყვედურით ბრძანებენ, რომ ქართველთ ქართული გაზეთის გამოცემა ერთობ გვიან დაიწყესო, ამაზე ვიტყვით, რომ ასეთი ბრალდება ჩვენ უსაფუძვლოდ მიგვაჩნია, რადგანაც ქართველთ ასეთის საქმის წარმოებისათვის სრულებით არა სცალოდათ; როცა მოიცალეს, მაშინ აკი ხალისით მოჰკიდეს ხელი და ბეჭდვაც იწყეს? ჩვენ-გვარ მდგომარეობაში მყოფ ხალხს კი არ დაეზრახება ესა და სხვებს კი, მეტადრე სომხებს, რომელთაც მეფობა ადრიდგანვე დაჰკარგეს, ამით მათ არაფერი წააგეს. სამეფოს დაცემის შემდეგ მთელს დუნიას ოთხსავ-კუთხივ მოედვნენ, ყველგან ვაჭრობას შეეჩვიენენ, ფულის მოგებას, ხერხს და ოსტატობას. მათგანნი მრავალს ალაგას დამდიდრდენ, ქონებრივ წარმატებას მიეცნენ, ოსმალეთის, სპარსეთის და ინდოეთის ზოგიერთს ქალაქებში დახსნეს სხვა-და-სხვა საეაჭროები, სააგენტოები, ბანკები, გააკეთეს დიდრონი ქარ-

ვასლებიც, ყველა ამაებთან თავისუფალი დროც ჰქონდათ, მაგრამ რაც შეეხება გაზეთის გამოცემას—ეს კი მათაც ერთობ გვიან მოახერხეს.

სომხებმა დიდის შრომითა და ჭაპანწყვეტით ძლიეს მოახერხეს და 1796 წ. გამოცეს თვიური სომხური გაზეთი, რომელიც სომხებში პირველ გაზეთად ითვლება. იგი იბეჭდებოდა ინგლისის სამფლობელოს ინდოეთის ქალაქს მადრასეში; გაზეთს სახელათ „აზდარარი“ ერქვა, რედაქტორად ხსენებულისავე ქალაქის სომეხთ მოძღვარი ტერ-შმოვანი იყო. ეს გამოცემა თავის დროის კვალად უფერული გამოცემა იყო, იგი სულ ორს წელიწადს გამოდიოდა, 1798 წლის დამდეგიდამ შოისპო, ველარ გამოვიდა. ქართულ პირველ გაზეთის გამოცემის რიცხვი რომ სომხების პირველ გაზეთის გამოცემის რიცხვს შეეუდაროთ, სულ მცირე განსხვავება აღმოჩნდება. სულ 22 წელიწადი გამოვა განსხვავებით, ამის ანუსხვა არც ღირს. ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენ, ქართველთ, აქამდის ისიც არ ვიცოდით, თუ ქართველებში პირველად როდის გამოიცა ქართულს ენაზე პირველი გაზეთი. აქამდე პირველ ქართულ ჟურნალად მრავალნი „ცისკარს“ აღიარებდენ ღა პირველ გაზეთად „დროებას“. თუმცა ისიც კი ვიცოდით ამბად, რომ 1832 წ. სოლომონ დოდაშვილს ქართულ ენაზე გაზეთ-ჟურნალიც გამოჰყვანდაო. რაც შეეხება გამოცემათა ცნობებსა და ვითარებას, ეს კი ჩვენთვის უცნობი იყო, ამის გამოცემულ ჟურნალ-გაზეთის ნომერი ჩვენ თვალითაც არ გვენახა, ძლიეს გვეღირსა და რის წვალებით, 1875 წ. მოვიძიეთ თითო ნომერი და მასთან მცირე ცნობებიც შეეჰკრიბეთ. ამავე დროს ჩვენში აღმოსჩნდა სხვა ძველი ქართული გაზეთებიც და ნათ-

ლად შეეიტყეთ და გაეიცანით ის ცნობები, რომ ქართულს ენაზედ პირველად ქართული გაზეთი 1817 წ. გამოუციათ ქ. თბილისში. ხოლო რა გვარს მიმართულების იყო ეს გაზეთი, ოფიციალურის, თუ მოქალაქურის— ამაზე არა სჩანს-რა; გაზეთის ზედა-პირის წარწერაც ამისას არაფერ ცნობას იძლევა; ამის შეტყობა კი არა, თვით გამომცემლის და რედაქტორის ვინაობაც კი არა სწერია. აბა, ჯერ დღეს, 1830 წლების ცნობებიც რომ არა დაგერჩენიარა ხელთ, ისიც არ ეიცით, თუ ამ მოსენებულს დროს საღ და როდის ვინ რა დაბეჭდა, ძველებზე რაღა გვეთქმის? იმას კი ვიტყვით დაჭეშმარიტებით, რომ ქართველნი XVIII საუკ. უკვე იყვნენ გაზეთების ცნობებს და კითხვებს შეჩვეულნი,—ამას გეიმტკიცებენ შემდეგი გარემოებათა პირობები.

ზემოდაც ვსთქვით და აქაც ვიტყვით, რომ ქართველთ ბატონიშვილები და მღვდელ მთავრები XVIII საუკ. რუსეთში ერთობ მრავლად სცხოვრებდნენ. მღვდელ-მთავრებმა რუსეთში სამს ალაგას ქართული სტამბებიც დახსნეს, წიგნების ბეჭდვაც დაიწყეს, თვით ერცელი ქართული „დაბადებაც“ კი რუსეთში დაისტამბა 1743 წ. რუსეთში ასეთ ერცელ წიგნებს ბეჭდავდენ, ნუ თუ ამ მბეჭდავთ იმ დროის რუსულ გამოცემათა შესახებ ცნობები კი არ ექმნებოდათ? არა გვგონია. გაიოზ ნაცელიშვილმა მოსკოვის აკადემიაში სწავლა დაამთავრა, ასევე მოზდოკელმა ქართველმა ჭელიძემ, პაატა ბატონიშვილმა საფრანგეთში და ინგლიზშიაც იმგზავრა. ბატონიშვილებში ზოგნი ვოლტერის ნაწერებსაც იცნობდენ, ზოგნი რუსულიდან სასულიერო წიგნებს გარდა ფილოსოფურს ნაწერებსაც სთარგმნიდენ, ვოლტერს და მის თანამედროვე საფრანგეთის მოაზრე

მწერლებსაც ადიდებდენ და აქებდნენ, ამათ შესახებ გაზეთებში დაბეჭდილს ცნობებსაც ჰკითხულობდენ, იგინი კარგად იცნობდენ გაზეთებს. 1769 წელს, მეფე ერეკლეს საწინააღმდეგო „შეთქმის“ გამო მოთავენი დასჯილ იქმნენ. ერთმა დასჯილთაგანმა, ამილახვარმა, რუსეთში ერეკლე მეფის მოქმედების შესახებ წიგნი დაბეჭდა, მეფის მოქმედებას დესპოტიური მოქმედობა უწოდა. ამ ჰაზრის თანაზიარი იქმნენ იმ დროის რუსის ზოგიერთ გამოცემანიც. წიგნის გამოსვლის და მის პატივისმცემელთ მეგაზეთეთ ცნობა მეფესაც ეუწყა. მეფეს ძლიერ ეწყინა, მაგრამ რას იზამდა. 1780 წ. ეკატერინე იმპერატრიცას წერილი მისწერეს და სთხოვეს, რომ ეგ წიგნი აღკრძალეთო. ასეც იქნა, წიგნი აღკრძალეს. ამ წიგნებისამ ჩვენ დროამდისაც მოაღწიეს.

ქართველთ ბატონიშვილების გარდა საქართველოში გაზეთების კითხვას ქართველი პატრებიც მისდევდენ. ამათ რომიდან გაზეთი „მისიონ კატოლიკ“-ი ძველადგანვე მოსდიოდათ, პატრები მეფეს და მეფის შვილებს ხშირად მოუთხრობდენ სხვადა-სხვა გაზეთებიდან ამონაკითხ ცნობებს, ბატონიშვილები ყოველთვის სიამოვნებით ისმენდენ. პატრებს გარდ, მეფის კარზე ხშირად სცხოვრებდნენ ისეთნი სწავლულ-მოგზაურნიც, როგორიც იყო 1773 წლებში ნემეცთა მოგზაურ-მწერალი აკადემიკოსი ღულდენშტეტი, ამას შემდეგ ნემეციელ ექიმი რეინგესი. მასვე დროს საქართველოში ყოფილნი რუსის პოლკოვნიკნი პეტროვი და ივანოვი და ბევრიც სხვანი, უთვლელნი, რომელნიც თავიანთ დროის კეალად იყენენ განსწავლულნი: ესენი იმ დროის გაზეთებს ევროპის ქალაქებიდან თვით საქართველოშიაც იბარებდენ. ევროპიული გაზეთები საქართველო-

ში სტამბოლის გზით შემოჰქონდათ, ბათუმიდან. იმავე გზით მოგზაურობდენ ევროპიელთ მსწავლულნი და მოგზაურნი. სტამბოლიდან ყველა მგზავრს და გაზეთს ბათუმში ელოდა მოსვლა. თვით საბა ორბელიანიც თავის კაპუჩინებით ევროპიდან პარველად ბათუმში მოვიდნენ, მერე საქართველოში შემოვიდნენ. 1780 წ. აქედამვე შამოვიდა ინგლისელთ ექსპედიცია გურიაში, 1784 წ. საფრანგეთის და 1789 წ. ავსტრიელ-პრუსიელთა: საუბედუროდ, ეს მოგზაურნი გურიას აქეთ ველარ გადმოდიოდენ. ამის მიზეზებს ოსმალთ ვაწერთ. 1789 წ. ინგლისელთ სამხედრო ექსპედიცია დავით გურიელმაც ისტუმრა... ამას ოდესმე დავუბრუნდებით. ეს აღვნიშნეთ მარტოდ იმის ფაქტად, რომ ძველად ქართველთაც ჰქონდათ ევროპის გზა და კვალი, თავი და თვალი დასავლეთურის წინ-სელისა და წარმატებისათვის. მეორე გზა საქართველოსი იყო რუსეთიდამ კავკაზე. საქართველოს მიჯნაზე დანიშნული იყო გზის ზედამხედველად ყაზიბეგი, იქ იყო ფოსტა, გზის გამგეს ლამის გუშაგნიც ჰყვანდა. რუსეთიდამ თუ რამ ცნობები, ნივთები და გაზეთები მოდიოდა, სულ ამ გზით შემოჰქონდათ; მაგალითებრ, მეფე ერეკლეს ეკატერინე იმპერატრიცამ ჩაის ჭურჭელი გამოუგზავნა ფეშქაშად და სასახლისთვის კარგი დიდი საათი და ბევრიც სხვა ნივთები, ყველა ესენი რუსთა შიკრიკთ, ანუ მათ ფოსტის კაცთ ხსენებულს გზამდის მოჰქონდათ, აქ ქართველთ ფოსტის უფროსს ჩააბარებდენ და თვით უკან გაბრუნდებოდნენ; მერე საქართველოს გზის მცველი თავის კაცებს ჰგზავნიდა თბილისში და ატანდა ყველაფერ გამოგზავნილ ნივთებს, გაზეთებს, წიგნებს და წერილებს; ყველა ამაებს თბილისში სამეფო გამგეობაში მიიღებდენ,

მერე თავთავის კუთვნილებად არიგებდენ. ეს ორი ჩვენგან აღნიშნული საქართველოს მთავარი გზები იყო, საიდამაც ევროპიელთ და რუსთ შემოჰქონდათ ყველაფერი. ამ გზებს გარდა სხვა გზებიც იყო, მაგრამ იმათ ჩვენ არ აღვნიშნავთ. ძველადგან ქართველთ მეფეთა ბრძანებით საქართველოს ვაჭართათვის „იარმურკობა“ ანუ ბაზრობა ეკატერინედარში იყო დანიშნული, სამ წელიწადში ერთხელ. ქართველ და რუსეთელ ვაჭართ ვაჭრობა და წარმოება იქ იწყობოდა, იქ საღდებოდა, ურთიერთ შორის საქონელები, ამის მეოხებით გზა და კვალიც ირკვეოდა, საქონელს გარდა საბეჭდი ქაღალდის შემოტანაც ადვილდებოდა.

ასეთის გარმოებით დაასრულა საქართველომ XVIII საუკ. დადგა 1800 წ. 28 ქრისტიშობისთვეს, მეფე გიორგი გარდაიცვალა და 1801 წლის თებერვალს, მარტსა და აპრილის თვეთა განმავლობაში საქართველო რუსეთს ჩაბარდა, სრულიად საქართველოს რუსთაგან შეერთება კი 1810 წლიდამ იწყება. საქართველოს რუსეთთან დაკავშირებით ქართველთ დიდათ უნდა გვესარგებლნა, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ეს ასე ვერ მოხდა, ჩვენ ამისთვის მომზადებულნი არ ვიყავით. ჩვენის რუსეთთან დაკავშირებით უფრო სომხებმა ისარგებლეს, თუმც ამისთვის დიდად არც იგინი იყვნენ მომზადებულნი, მაგრამ ჩვენზე მაინც მეტად იყვნენ წინ წასულნი. საქართველოს რუსეთთან დაკავშირების პირველ წლებიდამ მათ იწყეს წინ-სელა, წარმატება, აღორძინება და გამდიდრება. ქართველთა კი ზლაზვნით ვიწყეთ წინ-სელა და თვალის გახილება, ძლიეძლიერობით მოვეწყეთ ახალ წეს-ჩვეულებას, მთავრობას, გამგეობას და მის ძალას. დიდის ჭაპანწყვეტით გაგვეხსნა სტამბა, სკოლა და როგორც იქმნა, 1817 წ. ქართულს

ენაზედ პირველად გამოიცა ქართული გაზეთიც. პირველ წელს, ე. ი. 1817 წელს, ამ გაზეთის გამოცემა სექტემ-ბრიდამ დაუწყიათ, თვეში ხან თითო ნომერი გამოდიო-და, ხან ორი. მეორე წელსაც ასევე გაგრძელებულა. გა-მოცემას დრო არა ჰქონდა დანიშნული: 1818 წლის გა-სულს კი ნებართვა აუღიათ, და 1819 წლის მარტიდამ კი გაზეთის გამოცემა წეს-რიგით დაუწყიათ. ორი წლის განმავლობაში, ე. ი. 1817 და 1818 წწ, გაზეთს არ ჰქონ-და გამოცემის დრო დანიშნული, მას ზედ არც ფასი ეწე-რა, იგი იბეჭდებოდა მთავარ.მართებლის სტამბაში, დაბეჭ-დილებს აქეთ-იქით სამაზრო „ზასედატლებს, ისპრავნი-კებს“, ექსპედიციის წევრებს და პალატის მოხელეებს უგ-ზავნიდენ, ხოლო იგინი გაზეთის გარდასახადს რაგვარად იხდიდენ, ამის ჩვენ არაფერი ვიცით. გაზეთიდამ ამონა-კითხ მთავრობის განკარგულებათა იგინი ხალხს აცნობებ-დენ. თითო გაზეთი იბეჭდებოდა თითო საწერ სქელსა და შავს ქაღალდზედ; ასოებად ნახმარია ის ასოები, რომლის ყალიბები 1706 წელს იქმნა თბილისში ჩამოსხმული; აქე-დამ ჩამოასხეს ასოები, შემდეგ ამაეე ყალიბებიდამ ჩამოსხ-მულ იქმნა 1750 წ. და 1796 წ- საქართველოს რუსეთ-თან დაკავშირების შემდეგაც იმ ასოებს ახმარებდენ, რად-განაც ახალი ასოების ყალიბების ჩამოსხმა ერთობ გვიან მოხდა. 1817, 1818, 1819 და 1821 წწ. გაზეთები სულ ამ ძველის ასოებით არის ნაბეჭდი.

1817 წ. გამოსულ გაზეთს ასე აწერია ზედა პირზე სათაურად.

ქართული გაზეთი
გამოიცემის ქალაქს ტფილისს, წელსა ჩუიზ.

ჩვენის ფიქრით, ამ გაზეთის, 1817 წ. სულ ცხრა

ნომერი უნდა გამოსულიყო, მეტი არა. 1818 წელის კი მიახლოებით 17—20 უნდა ყოფილიყოს გამოცემული, რადგანაც თითო გაზეთის ნომერი ხან თვეში ერთი იბეჭდებოდა, ხან სამ კვირაში ერთ თბახზედ, ყოველს შემთხვევაში თვეში ერთ-მეტ-ნაკლები რომ ვიანგარიშოთ, მაშინ 17—20 ნომერზედ მეტი არ გამოვიდოდა. როგორც ვიცით ცნობიდამ, გაზეთს პირ-და-პირ ოფიციალური ხასიათი ჰქონია, იგი ეგონებთ, თვით მთავრობის ხარჯითაც იბეჭდებოდა, რადგანაც მთავრობავე ურიგებდა მუქთად. მაშინ ქართველს ენაზე მთავრობისთვის გაზეთის გამოცემა აუცილებელს საჭიროებას შეადგენდა, რადგანაც 1805—1830 წდამდე, საქართველოში ქართული ენა მეფობდა, იგი იყო სახალხო, საერო ენად მიღებული, იგი მეფობდა ქართველებს გარეშე თვით თათრებსა და სომხებშიაც, რასაკვირველია, მაშინ რუსთა რიცხვი საქართველოში ერთობ მცირე იყო, მთავრობისათვის ქართული გაზეთის ქონება კი, როგორც იარაღი, აუცილებელს საჭიროებას შეადგენდა.

გაზეთში უმეტესად იბეჭდებოდა სახელმწიფო განცხადებანი, უმაღლესი ბრძანებანი რუსეთიდამ და საქართველოდამ საქართველოს მთავარ მართებლების, გარდა ამისა სხვა-და-სხვა განცხადებანი ვაჭართა შესახებ, სამხედრო უწყების წინაშე სანო

დაქტორად დანიშნული ყოფილა მთავრობის ეინმე მოხელეთაგანი, რასაკვირველია ქართველი, ძველის ქართულის მცოდნე. 1819 წლისათვის კი რედაკტორად განსაზღრული პირი უნდა ყოფილიყო, უფრო მეტის ცოდნის პატრონი, რადგანაც 1819 წ. მარტიდამ გაზეთმა კვირაში ერთხელ იწყო გამოსვლა. გაზეთის რედაქციამ მხნეობა გამოიჩინა, პროგრამა გაიფართოვა, გარდა იმისა იმოდენად იმეცადინა, რომ წლის გასვლამდე 40 ნომრის მაგიერ 50 ნომერი გამოსცა, თითქო გაზეთის გამოცემა 1819 წლის პირველ იანვრიდამ დაწყობილიყო და არა მარტიდამ. გაზეთს 1819 წლიდამ სახელი შეუცვალეს: „ქართული გაზეთის“ მაგიერ „საქართველოს გაზეთი“ უწოდეს. რასაკვირველია, ეს უფრო საფუძვლიანი სახელია, მასთან კანონიერიც იმ დროის ახლად დაარსებულს ქართულის გაზეთისათვის; ეს სახელ-წოდებაც ცხად დასკვნას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მისი რედაქტორი შესმენილი პირი უნდა ყოფილიყოს, ვინემც 1817—1818 წ. გამოცემულის ნომრებისა, რომელიც უფრო განცხადებათა ფურცელს ჰგვანდა, ვიდრე სამოქალაქო, ან სამხედრო და სამეცნიერო გამოცემას. ასეთი განჩინება შემდეგ დროის გამოცემებზე კი ვერ ითქმის, რადგანაც მათ დიდი განსხვავება დაეტყოთ ზემოდ ხსენებულს გაზეთებთან შედარებით.

„საქართველოს გაზეთის“ გამოცემა დაწყებულ იქნება 1819 წლის მარტის პირველიდამ. ენა ამ გაზეთისა იგივეა თითქმის, როგორც 1817 და 1818 წ. ასოები გაზეთისა იგივეა, რაც წინედ იყო. ზომაც გაზეთისა იგივეა, ხანდესხან ორი საწერი თაბახიც გამოსულა, ოფიციალურს ნაწილს გარდა ლიტერატურულს ნაწილსაც

საკმარისი ადგილი უკავია. ამ გაზეთის ნაკლად ჩვენ აღ-ვნიშნავთ ძველის საღმრთო წერილის ენით წერილების წერას. ეს ძველი ენა, რომელიც კი მეფობდა საქართველოში 1850 წლამდე, იყო რაღაც განკერძოებული თვისების ენა. იგი არც ძველს ეკუთვნოდა და არც ახალს, უფრო კერძოებით ხასიათის მექონ სურათს წარმოადგენდა. მისას ვერც ერი გაიგებდა რამეს ადვილად და ვერც მღვდელი. ეს ნაკლი მათ რომ თავიდან აეცდინათ, იქნება მაშინ ქართველობაში საეროდ განათლების და მწიგნობრობის საქმეც სხვანაირად წასულიყო, იქნება იგი წარმატებით შემოსილიყო. ჩვენდა საუბედროდ ეს ნაკლი შემდეგ დროის ქართველებმაც ზესად შეითვისეს; თვით 1850 წლებამდისაც კი ამ ენით სწერდნენ და ჰბეჭდავდნენ, როგორც გაზეთ-ჟურნალს, ისევე სხვა-და-სხვა ქართულს წიგნებს. ამ ნაკლს ვერ ასცდა თვით ცნობილი სოლომონ დოდაშვილიც.

ამ ნაკლის შესახებ ჩვენ საკმარისად უნდა ვისაუბროთ, რადგანაც მან ქართველებზე მეტად დიდი ზეგავლენა იქონია; იქონია მით უფრო, რადგანაც იმ უწიგნობის დროს, როდესაც საქართველოში წიგნემის ბეჭდვა ჭაჭანებში იყო, მაშინ ცოდვა იყო ასეთის ენით წერა და ბეჭდვა. ამ ენით ჰბეჭდავდნენ თვით სახელმძღვანელო წიგნებსაც. მე მოვიპოვე რამდენიმე ძველი ქართული სახელმძღვანელო და მათმა გაცნობამ გამაკვირვა. ძველი ყარამანიანი, დავრიშიანი, მირიანი და ასეთი მოთხრობანი უფრო კარგის ქართულის ენით არიან ნაწერი, ვინმეც XIX საუკუნის ქართული სახელმძღვანელოები. სახელმძღვანელოები კი არა, თვით გაზეთის განცხადებებსაც კი ამ გვარის ჯვარცმულის ენით სწერდნენ, რასაც თვით ჩვენი ამონა-

წერებიც დაამტკიცებენ. 1819 წ. გაზეთის ერთს ნომერზე ვკითხულობთ შემდეგს განცხადებას: „მთავრობის ნებართვით, 1819 წელსა, ესე როგორც გამოიცენ წარსულსა წელიწადსა, აგრეთვე გამოიცემიან მომავალსა წელიწადსა 1820 სა“. ცნობიდან სჩანს, რომ ეს „საქართველოს გაზეთი“ 1820 წ. გამოიცემა ისევე, როგორც წარსულს 1818 წელს გამოიცა და ამ წელსაც იბეჭდებაო. აი თვით სახეც გაზეთის ზედა პირის, რომელიც შეუცვლელად მოგვყავს:

საქართველოს გაზეთი ნოემბერსა ზ (18) დღესა ჩყით (19) წელსა თფილისში На 38 გამოცხადებანი.,

ეს სათაურია გაზეთისა, შემდეგ იწყება განცხადება გაზეთის გამოცემისა, აი განცხადებაც:

„ქართულის გაზეთის გამოცემანი ეალად თვისად რაცხვენ, რათა წინასწარ აცნობონ პატივცემულ საზოგადოებასა, რომელ გამოცემა ესრეთისა გაზეთისა განგრძედების მომავალსა ჩყკ წელსა. მას შინა შთაწერილ იქნებიან თვით იგივე მუხლნი, რომელნიცა მოხსენებულ იყვნენ გამოცხადებასა შინა დაბეჭდილსა უწინარეს ამისა შემოღებისათვის გაზეთის ბეჭდვისა, გაზეთი ესე გამოცემულ იქმნების ათას რვა ას და ერთის წლის პირველ რიცხვამდე, თვითო კვირაში თვითო დაბეჭდილი ფურცელი“.

„მოსაწერი ფასი დანიშნულ არს საკმარისად ზომიერ, სრულიადის გაზეთის აქ თფილისსა შინა გამოცემისათვის სამი რუბლი თეთრი ფული ღა სხვათა ქალაქთა და ადგი-

ლთა მცხოვრებნი წარსაგზავნელათ მათდამი გაზეთისა ამისა მისცემენ ერთსა აბაზსა, სრულიადის დროსათვის, რომელ წარსულსა შინა წელსა გაზეთისა ამისა ვიწყეთ გამოცემა მარტის თვეში და აწ იწყება მისი პირველ იანვრის რიცხვითგან და მაშ წარსულის წლისაზედ მოემატება ათი ფურცელი და იქმნება არლა ორმოცი, არამედ ორმოცი და ათი ფურცელ საკუთართა შემთხვევათა შინა მომატებათთა თანა".

აი ესეც ამ გაზეთიდან მოყვანილი ერთი ადგილი, ნიმუშად იმ დროის ქართველთ მწერლებთა ენისა.

„გორის უეზდის სოფელს დავრის მცხოვრებნი ბარძიმ მაჩაბელოვის ყმა დათუა კვალენიძე თავის ცოლით და ვაჟის და ქალისშვილებით, ძმისწული ნინიათი და ვენახით იმ ას სამოც და სამს რუბლში, რომელიც მართებს მას აზნაურის გაბაშვილის ქალის ელისაბედისი, იმათის გასყიდვის ვადა დანიშნულ არს ამა წლის ნოემბრის კ. და დეკემბრის ე. და კ. რიცხვებში.

თელავის ეეზდის სოფელს ფინჩხავას მცხოვრები რვა კომლი ყმა ლუბერსკის სეკრეტრის ნათიოვის იმ ათს ასოცს რუბლის ვერცხლის ფულში; რომელიც მართებს მას ლუბერნსკის სეკრეტარს თავადის მელიქზადე ბებუთოვის, იმათის გასყიდვის ვადა დანიშნულ არს ამა წლის ნოემბრის კ. და დეკემბრის ვ. და კ, რიცხვებში".

ასეთ ცნობათა გარდა მოთავსებულია მთავრობის განცხადება საქართველოში ღერბის ქალალდის შემოღების შესახებ. აქედან სჩანს, რომ ღერბის ქალალდის ხმარება საქათველოში 1819 წლიდან შემოსულა. მანამდის კი ეგრალო ქალალდის ხმარება სცოდნიათ, მოთავსებულია წერილი ყვავილის აცრის შესახებ, თუ რა ხერხით შეიძლება ძროხის ყვავილით კაცის აცრა: ეს წერილი ექიმს კლა-

პატონოვის უნდა იქმნეს, რომელმაც იმ დროის რუსეთში სახელი განითქვა და მის „კარაბადიმები“ და “ყვავილის აცრის“ წიგნები 1820 წლებში ქართულს ენაზედ ნათარგმნი პეტერბურღში ცალკე წიგნებადაც გამოსცეს, ქართული თარგმანი გ. ფირალოვს ეკუთვნის, მეფე გიორგი XII-ის მდივნად ყოფილს.

მოთავსებულია აგრეთვე:—„ასტრონომიის მრიცხველობათაებრ ცხადდება, რომელ შემდგომად მომავალსა შინა წელსა, ჩყით ვიქმნებით მოწამე ერთისა ძერითა გამოცხადებისათაგანისა ცისა ზედა სახლდობრ ბეშე, რიცხვსა სექტემბრისასა ახლისაებრ შტილისა, ხოლო ძვერლისაებრ ოც და ექვს რიცხვსა ტოსასა შუა დღისას იქმნების სრული დაბნელება მზისა, რომელიც ფრიად დიდის ხნის შემდეგ არა გვინახავს ჩვენგან... ნიდრელანდთა შინა, ამა საგანზედ არს წიგნი, რომელიც მიეწერების მეცნიერსა კაცსა ვანსვიდურს სურათებითურთ, რომელსა ზედა გამოხატულ არს დაბნელება სამთა სხვა და სხვათა შინა“.

სწორედ ამ წლებიდან იწყეს ქართველთა მამულების დაგირავება თბილისში და მის გარეშემო. მაშინ ჩვენში სხვა-და-სხვა ბანკები არ იყო, ჩვენს ბანკირებად ფულის პატრონი კაცები იყვნენ და ზარაფები, იმ დროის ქართველნი ორ ნაწილად იყოფოდენ: მხვნელ-მთესველად და სამხედროს ნაწილად. ეაჭართა და ხელოსანთ რიცხვი თბილისში ჟამთა ვითარების მეოხებით შემცირებულ იყო. რაც კი ქართველთ ორს განყოფილებას ფული ან სავრამ ნივთეულობა სჭირდებოდა, ყველა მას იგინი თბილისის სომხებისაგან იძენდენ. საქმე ისე მოეწყო, რომ ქართველნი ძრიელ მალე გახდენ ეაჭარ სომეხთა მსხვერპლად. 1820 წ. მარტოდ ორთაჭალაში გაიყიდა 14 კარგი ბაღი,

რომელიც ბატონიშვილებს ეკუთნოდათ. 20-მდე ბაღი ქართველი'ა თავადისშვილების სოლოლაკზე გაიყიდა. მაშინ ვინც კი თბილისში თავადისშვილები სცხოვრებდენ, ყველას აქვნდათ თითო ან ორ-ორი ბაღი. დღეს-კი, მთელს თბილისში ორს კაცსაც აღარ აბადია. მარტო ბაღები კი არა, და მთელი თბილისის მამულებიც ასევე წაუვიდათ ქართველთ ხელიდამ, ამას ქვემოდ ვნახავთ, მაშინდელ თბილისის სომხები ცალიერ ჩონჩხს წარმოადგენდენ, მათში ერთი კაცი არ იყო ისეთი მდადარი, რომ მას რამდენიმე ათასის თუმნის შეძლება ჰქონოდა. თუ იყო ვინმე და სცხოვრებდენ თბილისში, ყველა იგინი 1830 წლების შემდეგიდან დამდიდრდნენ, როცა მათ ქართველთა მამულებს უხვად უწყეს შებოჭვა, მასთან ისწავლეს ტყუილი თამასუქების კეთება, ქართველთ დაბრიყვება და ნამეტურ სოფლის ნათლიობის მეოხებით გლეხთა ტყავის გაძრობა.

ასეთ საუბრის და ცნობების განსამარტავად და იმ დროების ნათლად გასაცნობად ძლიერ კაი ცნობებს იძლევა ზემოდ დასახელებული გაზეთის ნომრები, ხოლო ჩვენდა საუბედუროდ ამ გაზეთის ნომრების ჩვენ სულ რამდენიმე ნომრის მეტ, არა გვაქს მოპოვებული. 1819 წ. ერთ ქართველ თავადისშვილს, ერთის სომხის ვაჭრისაგან 370 მან. გაეყიდა 35 დღის მიწა, ორი დიდი ზვარი დ მამულები, ღირებული 6000 მ: ყველა ეს სომეხს დარჩა 370 მ.-ად. თავადისშვილის სულ ჩითეულობა და ასეთი რაღაცაები წაელო, რაც იქმნება, 150 მან. არც კი ეღირებოდა; ასეთ მაგალითებს ჩვენ ათასობით მოვიყვანდით.

როგორც სჩანს „საქართველოს გაზეთი“ 1820 წლის

ბოლო წლის ნახევარს მოსპობილა. ისე რომ ამ წლის შემოდგომაზე „საქართველოს გაზეთი“ აღარ გამოსულა. მოსპობის მიზეზი არ სჩანს, საჭირო კია რომ ვიცოდეთ რამე. ქართველთა გარეშე ქართული გაზეთის საჭიროება თვით მთავრობისთვისაც ყოფილა საჭირო. ამიტომ ქართველობა უგაზეთოდ მხოლოდ ორ-სამ თვეს დაშთენილა. 1821 წლიდან კი სხვა ქართული გაზეთის გამოცემა დაუწყიათ. ამ გაზეთის სახელად „წმიდა გიორგი“ სწოდებია, რადგანაც გაზეთზე წმიდა გიორგია დახატული. აი თვით გაზეთის სათაურიც:

ქართული	ამ ალაგას დახატულია წმიდა გიორგი	გაზეთი
სექტემბრის 16 დღესა № 36		1821 წელსა ტფილისი

„უცხო ქვეყნის ამბავნი: გერმანიიდამ, ოსმალოს ქვეყნიდამ, შერთული ამბავი. აღწერა დღესასწაულებთა, ცერემონია ინგლისის კაროლისა. მოლდავიის სამზღვრიდამ, თრიესტიდამ. ინგლისის კარალევას დაგვირგვნება, ვალახიიდამ, საბერძნეთის ამბავი“.

გაზეთის ენის ნიმუშად მოგვყავს შემდეგი ამბავი: „13 ივნისს. იზმირში გამოდის რომელსამე ქამიდან ყოველს კვირას ფრანცუზულს ენაზედ „გაზეთი.—ამის უკანასკნელს ფურცელში 19 მაისს არს ‘ემდგომი ამბავი: იზმირს მცხოვრებნი რამდენსამე დღეს იყვნენ დიდად გაჭირვებულნი შეწუხებაში, თითქმის ყოველს წამს მოელოდნენ დახოცვას ყოველთავე აქაურთა ქრისტიანეთასა, მაგრამ ბედნიერებათ მოვიდა აქ ფაშა, რომელმაც მთე-

ლის კეთილ გულის ხმიერებით და დიდ სულოვნობით უკან აქცია ესე სამწუხარო ჰაზრი“.

როგორც შეატყეთ, ამ გაზეთის ენა უფრო მდაბიურია, ვინემ „საქართველოს გაზეთი“-სა. ამას მკითხველიც შეატყობს. როგორც „საქართველოს გაზეთი“, ისევე „წმიდა გიორგი“-ც კვირაში ერთი ნომერი გამოდიოდა, იმავ ზომით, როგორც 1817 წ. და შემდეგ დროის ორი გაზეთი იბეჭდებოდა. ამ 3ს №-რის რიცხვით ჩვენ ვფიქრობრ, რომ „წმიდა გიორგის“ გამოცემა, 1821 წ. თებერვლის, ან მარტის პირველიდან უნდა დაეწყოთ. „წმიდა გიორგის“ გამოცემა განგრძობილა 1824 წლის ბოლომდე, 1825 წ. კი აღარ გამოსულა. მიზეზები მოსპობისა არ ვუწყით. არა ვიცით-რა ჩვენდა სამარცხვინოდ იმის შესახებაც, თუ როგორც პირველის და მეორის „საქართველოს გაზეთის“, ისე ამ „წმიდა გიორგის“ რედაქტორად, ვინ იყო, ან გაზეთს რამდენი ხელის მომწერი ჰყვანდა, ვისის ბრძანებით იბეჭდებოდა?

აქ გაზეთის განცხადებათა ცნობიდან სჩანს, რომ დღევანდელი სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლა „მშაკის“ რედაქტორად ეოფილის, არწრუნის პაპას, გეურქ ალას, თავ. ციციშვილისაგან 6000 მ. უყიდნია. მაშინ ამ ალაგას დღევანდელი დიდი სახლიც გაკეთებული ყოფილა. ეს დიდი სახლი 1804 წ. გაუკეთებია საქართველოს მთავარ-მართებელს ციციანოვს, სადაც თვითონ მდგარა. მის სიკვდილის შემდეგ, ეს სახლი მის სახლის კაცებს დარჩათ ჩუქებით. მერე ამათ გეურქ ალაზე გაჰყიდეს ოხერ ფასად. ეს ის ეურქ-ალა გახლავსთ, ვისზედაც ქართველ მესტვირეებს „ხიტრველის ლექსიც“ გამოუთქვამთ. ამავე დროს ნ. ციციშვილს თბილისის შუა-გულს ალა-

გას გაჰყიდეია დიდი ძალი ადგილები. დღეს ამ ალაგზე თამამშოეის ქარეასლა სდგას. ეს ადგილები ციციშეილს გაჰყიდეია ორი დოშის ვალში, ორ ვერცხლის კულაში და ორ საკაბეში. რასაკვირველია, ვალი სომხის იყო და მამულებიც მან დაინარჩუნა მოტაცებით. კუკიაში ავჭალის ქუჩაზედ რამდენიმე ათასი საჟენი მიწა ერთის ქართველის აზნაურისა 400 მან. ვალში გაისყიდა. იგი შეიძინა მეეახშე სომეხმა. ვერაზე რამდენიმე ათასი საჟენი მიწა 900 მანეთში, გაბაშვილის, დარჩა ერთს სომეხს, რასაკვირველია მიტაცებით. ქაშუეთის ეკკლესიის პირდაპირ, სადაც დღეს „ორიანტის“ სასტუმროა, ერთმა სომეხმა ქაშვეთის ქართველს მღვდელს 60 მ. ვალში გაუსყიდა და თვით დაინარჩუნა. დღეევანდელი „კავკასიის“ სასტუმროს ალაგი და შენობა ციციშვილისაგან სულ უბრალო ვალში დაშთა ერთს სომეხს. ჩვენ აქ ყველას ვერ მოესთველით, ვიტყვით მხოლოდ შემდეგს, რომ მთელი ქალაქის ქართველთ მამულები სწორედ ამ დროს დაისაკუთრეს პოელებმა, სწორედ ამ დროს იწყეს მათ მეეახშეობა... თანდათან დრო იცვლებოდა. თბილისში ეაჭრობაც წინ მიდიოდა, მისთვის დუქნების გამრავლებაც საჭიროდ ხდებოდა, მასთან სხვა-და-სხვა სამმართველობიც მრავლდებოდა, სამმართველოების გამრავლებას შენობათა სიმრავლეც მოჰყვა. შენობების და დუქნების კეთებას სომეხნი უფრო ადვილად მოეწყვნენ. მაშინ ხე-ტყე, აგური და მუშა-ხელიც ერთობ იაფი იყო, ყველაფერს იაფად აკეთებდნენ, სულ მუქთად; ადგილებსაც მუქთად იკავებდენ, სულ ოხრად, შენობაში და დუქნებში კი ქირებს კარგს იღებდენ. ამ გარემოებამ სომეხნი ერთი-ორად დაეწინაურა ცხოვრების სახსრით და ფულით გაამდიდრა. ეაჭ-

რობაც წინ წაიყვანეს ქირების წყალობით და ქართველთა მამულებსაც უფრო უხვად უწყეს შებოჭვა, წართმევა და დარბევა.

ამ გაზეთის მოსპობის შემდეგ, მთავრობის ნაწილში, ქართული გაზეთის გამოცემის სხივი აღარ დაიბადა, აღარ განმეორდა. ამის მიზეზები ბევრნაირია, მთავრობის საჭირო განცხადებათა ბეჭდვა ცალკე ფურცლებზე იწყეს და ხალხში გავრცელება. რაკი მთავრობის მხრით გაზეთის საჭიროება აღარ იქმნა ცნობილი, არამედ მარტოდ განცხადების ბეჭდვა, ამიტომ თვით ხალხმაც გადიგდო გულიდგან ქართული გაზეთის გამოცემის საჭიროება და საქმე. 1828 წ. თბილისში ჩამოვიდა სოლომონ დოდაშვილი, პირველი ქართველი, რომელმაც რუსეთის უმაღლესს სასწავლებელში დაამთავრა სწავლა. მას ძლიერ სწადდა ქართული წიგნების ბეჭდვა, გაზეთის გამოცემა. ამ საქმეში მას დიდად ეხმარებოდა ივანე ხელაშვილი, ცნობილი ბერი, „კალმასობის“ დამწერი. ამ ბერის ფულით ს. დოდაშვილმა თბილისში სტამბა გახსნა, ქართული წიგნების ბეჭდვა დაიწყო, მთავრობის წინაშე დიდად იმეცადინა და 1829 წ. თბილისში ქართული კვირის გაზეთის გამოცემაც დაიწყო. ამ გაზეთს სახელად „თბილისის უწყება“ ეწოდა. აქვე მოგვყავს სრული სათაური „თბილისის უწყების“ ერთის ნომრიდან.

სამშაბათი № 12 აპრილის 26 ს.

ტფილისის უწყებანი
1832 წლისა

გამოდის კვირაში ერთსელ სამშაბათობით, ხოლო სალიტერატურო ნაწილი თვეში ორჯერ.

წელიწადში ორისაგე გამოცემისა ფასი დადებულ არს რვა მანათი თეთრი ფული.

შინაგან ცნობანი
ტფილისი
აპრილის 26-სა 1832 წელსა.
უმაღლესი უქაზი

მიცემულ უმართებულეს სენატისადმი, ტფილისი 18 აპრილს: სამზღვარ გარეთ ამბავნი: ფრანცია, პარიჟი. ალნარეევი, პორტუღალია. „გაზეთის“ ენის ნიმუში:— „ფრანცია. პარიჟი, მარტის 12-სა დროსა მრავალთა მოახალისეთა შეკრებულისა, იყო აქაურის სასამართლოს წინ საქმემან პირობისა ზედა არა კეთილ მზრუნველთა კაცთასა. რომელიც ყოფილა სამრეკლოსა შინა მღვთის მშობლისა ეკკლესიასა. სასამართლოს სტოლზე ეწყო რაოდენიმე დამბაჩანი, წითელი ქუდი, ხანჯალი, პური და სხვანი, სამრეკლოსა ზედა ნაპოვნი ნივთნი. შვიდი კაცი გამოსჩნდა ბრალეულად, ყოველნი იგინი არიან ხელოსანნი. ერთს მათგანს ეკითხა წოდება მისი და თვით აჩვენა თავი თვისი ამშფოთრად. სახლსა შინა ერთსა მათგა-

ნისა პოენილ არიან საგიობელნი და ალმაშფოთებელნი თხუზულებანი, რომელნიცა გამოუცია ესრედ წოდებულს „საზოგადოებისა მეგობართა ერისათა“. მხოლოდ ერთმა ბრალეულთაგანმა ჰყო ჩვენება რომელი შეიპირეს მისყიდვითა და უნდოდათ სამრეკლოდამ სროლა პირისპირ მთავრობისა. ყოველნი იგინი არიან გლახაკსა მდგომარეობასა შინა. გასამართლებლად თავისა თვისისა შემოაქვსთ რომელ ერთმანეთს ვერ იცნობდენ და მაშასადამე პიროზასაც ვერ შეკვრენ“.

ეს გაზეთი გამოდიოდა იმ ზომის ქაღალდითვე, როგორც ზემოდ ხსენებული გაზეთები, თითო საწერ თაბახიან ქაღალდზედ. ეს გაზეთი კი ხანდისხან ორ თაბახზედაც იბეჭდებოდა. ს. დოდაშვილის „თბილისის უწყება“ ზემო ხსენებულის გაზეთებისაგან განირჩეოდა მით, რომ აქ სხვა-და-სხვა განყოფილებათა გარეშე ლიტერატურული ნაწილიც იბეჭდებოდა. სხვათა მრავალთა შორის 1829 წ. ერთს ნომერში მოთავსებულია ლექსი, „ოცნება“ პუშკინისა, თარგმანი ალექსანდრე ჭავჭავაძისა. ერთი ნომერი ამ გაზეთისა მე გადმომცა ანტ. ფურცელაძემ, მას ეს ნონერი ქართლში ეშოვნა, შემდეგ „წერაკითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ გადავეცით. სულ რამდენი ნომერი გამოვიდა ამ გაზეთისა, ჩვენ არა ვიცით რა. სირცხვილია ჩვენთვის და თან სანატრელიც, რომ ვიცოდეთ რამე, რადგანაც გაზეთს ეტყობა, რომ დღიურ ცნობებს გარდა სიტყვა კაზმულს მწერლებასაც უნდა ჰქონდეს დიდი ადგილი დათმობილი, რადგანაც აქ დაბეჭდილი ვნახეთ პუშკინის ლექსი, თარგმანი ალ. ჭავჭავაძისა და ზოგიც სხვანი. სამი ოთხი წელიწადი გაზეთი გამოდიოდა და მას შემდეგ ისე მოეწყო ჩვენი საქმე, რომ დღეს ამ გა-

მოცემის ნომრები სამთლით საძებარი გვიხდება. რის წვალებით ოთხი ნომერი ვიშოვეთ. ამ გაზეთის მოსპობის მიზეზით ჩვენ 1832 წლის შემთხვევა მიგვაჩნია, რაის მეოხებით შეშინებულნი ქართველნი აუქმებდნენ ამ გაზეთის ნომრებს; რადგანაც იგი რალაცის მომასწავებელი ეგონათ.

ს. დოდაშვილს გაზეთის საქმე კარგად მისდიოდა. სალიტერატურო ნაწილისთვის მან კერძოდ ჟურნალის დაარსება ისურვა. 1831 წ. ამისთვის ნება-რთვაც აიღო და 1832 წლის იანვრიდან იწყო ორ-კვირეულ წიგნაკ-ჟურნალის გამოცემაც, ამაეე სახელ-წოდებით რაც გაზეთს ეწერა, დამატებასავით, ხოლო წიგნად; თითო წიგნის ზომა 64 გვ. 80 გვერდამდე შეიცავდა. საუბედუროდ, ამ ჟურნალის სულ ოთხი წიგნი გამოვიდა. 1832 წ. იგი დახურულ იქმნა გაზეთთან ერთად და მისი რედაქტორი ს. დოდაშვილიც რუსეთში იქმნა გაგზავნილი 1832 წ. „შეთქმის“ გამო. ამ „შეთქმის“ მეთაურობა სხვათა შორის ს. დოდაშვილს დაჰბრალდა. აი თვით ჟურნალის ზედა-პირის წარწერაც, რომელიც მოგვყავს აქ.

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲐ

სალიტერატურო ნაწილი

№ 3. ქ. ტფილისი, 1832 წელსა.

ამ ნომერის 72 გვერდია. აქ ᲗᲝᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ შემდეგი 1) ლექსად „მოწოდება“ ივერთა მამულის დაცვისათვის დროსა სპარსთა შემოსვლისასა საქართველოსა სამზღვართა

შინა ღ. ლ. თ. გიორგი ერისთავისა. 2) ირაკლის მეორეს მეფობიდამ.—ისა. 3) პოემა „ოსური მოთხრობა“ უცნობისა. 4) კრიტიკა ს. დოდაშვილისა, შენიშვნად დამარხვისსა წესსა ზედა უკანასკნელ მეფეთა ზედა საქართველოსათა, რომელიცა დაბეჭდილი იყო პირველსა ნომერსა შინა რუსულთა გაზეთისა 1831 ამასა წელსა“.

ამ შინაარსიდან მკითხველი მიხვდება, რომ ს. დოდაშვილს მაშინათვე შეუგნია თავის მოქმედების მოვალეობა, თავის ასპარეზის ვითარება. აბა დავაკვირდეთ 1832 წ. და თან ამ განყოფილებას, მაშინ ჩვენ ეს დიდ საოცრადაც დაგვიშთება, ასე კარგად, ასე კანონიერ წესდებულად თავის მოვალეობა თვით დღევანდელ ქართველსაც-კი არ ესმის. დღეს ხშირად უარჰყოფენ მას, რაც ჩვენის პაპებისაგან უკვე ბრძნულად გამორკვეულა. ს. დოდაშვილს გაზეთისათვისაც სცოდნია ამბების შერჩევა, ამას ზემოდ მოყვანილის ცნობებითაც დარწმუნდებით. მისდა საუბედუროდ ს. დოდაშვილს მხოლოდ ქართული ენა არ უვარგოდა. ესეც ძველ სამღრთო წერილის ენის კოლოს გავლენის ქვეშ მყოფი აღმოსჩნდა, რაც ცხადი საქმეა, თვით გამოცემასაც მძიმე მისწრაფებას მისცემდა; ეს ასეც ყოფილა, სოლომონ დოდაშვილის გარდასახლებით მოისპო ორივე გამოცემა და მის შემდეგ ქართველთაგან აღარავის უფიქრნია რამე დრო-გამოშვებით გამოცემის მოსახერხებლად... საქმე და საეალალო ის გახლდათ, რომ ბოლოს მოღებით შეჩერდა დიდის ხნით ქართულ ენაზე რაიმეს გამოცემა. ეს მოხდა სწორედ იმ დროს, როდესაც თფილისში მცხოვრებ თავად-აზნაურებმა მამულების ფანტვა ხურმის ფასად იწყეს. როცა მთელი თფილისის ქართველთ მამულებმი სომხების ხელში იწყო გადასვლა. ამ

დროს, ქართველთათვის საჭირო იყო კარგი რამ დროგამოცემა, აღმნიშვნელად ყველა ჩვენის მაშინდელის უბედურებისა; მაგრამ ეს ასე არ მოხდა, მთელი ერი და ქვეყანა ჩუმმა საიდუმლოებამ მოიცვა. ქართველთ შიშის ზარმა ისე დაუარა, რომ არამც თუ რამე გამოცემის მოხერხება, არამედ სახლში შვილებს ქართულ ენასაც-კი უკრძალავდენ... ასე და ამ გვარად მისწყდა ქართველებში გაზეთის და წიგნების გამოცემაც-კი...

შავმან და ბნელმან წუთებმა ნელ-ნელა იწყეს ფრენა, ქართველნი ღრმა ძილს მიეცნენ. ამასობაში მოახლოვდა 1845 წ. მალე ახალ მთვარ-მართებლად ვარანცოვი დაინიშნა. ეს მალეც მოვიდა 1846 წ. თფილისში; პ. იოსელიანმა კვირის რუსული გაზეთის „ზაკავკასკი ვესტნიკის“ გამოცემა იწყო; ამავე გაზეთის გამოცემის დროს მთავრობის გაზეთი „კავკაზიც“ დაარსდა. საქართველოში პირველი რუსული გაზეთი 1829 წ. დაარსდა, ეს სულ ორ წელს არსებობდა და მეორე და მესამე რუსული გაზეთი-კი 1846 წ. ამ გაზეთებში იბეჭდებოდა მთავრობის განცხადებანიც, მაგრამ მაშინ რუსულის კითხვა ჩვენ ხალხში ბევრმა არავინ იცოდა. ამიტომ 1846 წ. ქართულს ენაზე იწყეს ქართულის გაზეთის „კავკაზის“ გამოცემა. ამ გამოცემაში იბეჭდებოდა ოფიციალური განცხადებანი რუსულის „კავკაზისა“. ქართულ განცხადების ბეჭდვამ 1850 წლამდე გასტანა. განცხადებებს ხან პ. იოსელიანი სთარგმნიდა, ხან ფალავანდოვი. ამ განცხადების ერთი ნომერი ენახეთ ჩვენც. პატარა ზომისა არის, ერთ საწერ თაბახიან ქაღალდზეა დაწერილი. ეს ქართული „კავკაზი“-ც ისევე კვირაში ერთხელ გამოდიოდა, როგორც რუსული გამოცემა: 1850 „კავკაზს“ გარდა ფალა-

ეანდოვი „ზაკავკასსკი ვესტნიკის“ ოფიციალურს ცნობებსაც სთარგმნიდა და ბეჭდავდა. ამ გამოცემას ქართულად ბ. გ. ყიფშიძის სიტყვით „მახარობელი“ რქმეულა, ე. ი. „ვესტნიკ“, 50 წლებში, პეტერბურგში მცხოვრებ ქართველთ შორის ასტყდა საუბარი ქართულს ენაზე რაიმე სალიტერატურო გამოცემის დასაარსებლად. მალე გარდასწყვიტეს და ისურვეს პეტერბურგს თვიურ ჟურნალის გამოცემა, რომელსაც სახელად „არე“ უნდა სწოდებოდა. ერთ და იმავე დროს, ქართულ ჟურნალის გამოცემისთვის თფილისშიაც ზრუნავდენ და პეტერბურგშიაც... თფილისში ზრუნავდენ „ცისკრის“ გამოსაცემად. ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემის შესახებ აი რა მიამბო ვახ. ორბელიანმა:

ვარანცოვმა ირწმუნა ჩვენი მუდარება, უმაღლეს მთავრობასთან მეცადინეობა დაიწყო, 1851 წლის ბოლოს გ. ერისთავმა უკვე „ცისკრის“ გამოცემის ნებართვა მიიღო. ამისთვის მას ვარანცოვისაგან საბეჭდი სტამბაც ეჩუქა და წელიწადში 500 მან. დახმარებაც დაენიშნა. გ. ერისთავმა „ცისკარი“ სულ ორ წელს გამოსცა. 1854 წ. პირველიდან აღარ გამოიცა, მოისპო. გ. ერისთავმა უხეიროდ დაიწყო „ცისკრის“ ბეჭდვა. ჟურნალი თავის დროის კვალად არ გამოდიოდა. ჟურნალს თავზე ასე აწერია: „ცისკარი“, „სალიტერატურო ჟურნალი“. ვორონცოვის შემდეგ 1854 წლიდამ ახალის მთავარ-მართებლის ბრძანებით „ცისკარს“ დახმარება მოესპო, ამიტომ „ცისკარიც“ უცბად დაიხურა...

„ცისკრის“ დახურვის შემდეგ ქართველთ შორის გაჩნდენ ისეთი პირები, რომელთაც გულმტკივნეულობით დაიწყეს საუბარი ქართული რამე გამოცემის დაარსების შესახებ. საუბარი ატყდა, ზოგმა სთქვა:—„ცისკარი“

განეაახლოთო, ზოგმა ახალი რამ გამოესცეთო, ზოგმა სთქვა:—„ეაი თუ ახლის ნებართვა არ მოგვცენო, ამიტომ ისევ „ცისკრის“ განახლება ვითხოვოთო. მხოლოდ პროგრამა შეუცვალოთო“. ივ. კერესელიძემ მიამბო: „პროგრამა დიმიტრი ყიფიანმა შეადგინა და პირველ კრების შემდეგ წარმოადგინა და წაიკითხაო. პროგრამა კარგათ იყო შედგენილიო. მაგრამ ბევრმა ეჭვი განაცხადეს, ეაი თუ ასეთის პროგრამით გამოცემის ნება არ მოგვცენო. სამეცნიერო ნაწილი შევამოკლეთ, ძველებურის გამოცემის პროგრამის კვალად დავწერეთ ახალი პროგრამა და მივართვით მთავარმართებელსო, რედაქტორად მე ვიყავ დასახელებულიო“. „ცისკრის“ განახლების ნება-რთვა ივ. კერესელიძემ 1856 წ. მიიღო და 1857 წ. პირველ იანვრიდამ გამოცემაც იწყო. გამოცემის საქმეში დიდად ეხმარებოდა ალ. ორბელიანი. რედაქცია რადგანაც ღარიბი იყო, ამიტომ იგი მოთავსებულ იქმნა ალ. ორბელიანის სახლში, „ცისკარმა“ გ. ერისთავის გამოცემაზე უკეთესად იწყო გამოსვლა. ჟურნალის ასეთი წარმატება გ. ერისთავს ძლიერ ეწყინა, ივ. კერესელიძეს ხელის შეშლა დაუწყო, ნისიად მიყიდული სტამბა დაუკეტა! ივ. კერესელიძემ მწუხარებით გარდმომცა, რომ 300 მ. გულისთვის ჟურნალი გამიჩერაო: მე მაშინ გემნაზიაში „ნადზირატლად“ ვიყავიო. ერთს საღამოს კარი ვიღაცაც დამიკაკუნა, გავაღე კარი თუ არა, ერთმა კაცმა წერილი მომცაო, ეს ამა და ამ კაცმა გამოგიგზავნათ, თვით კი წავიდაო. გავხსენი წერილი, შიგ 300 მ. იდო შემდეგის წერილითო: „ივან ივანიჩ! თქვენი ერთად ერთ ქართულ ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემას მე ისეთის თანაგრძნობით ვუმზერ, რომ ამ 300 მ. გიგზავნი, რათა ამით სტამბა დაიხსნათ

და „ცისკარი“ ჰბეჭდოთ“, მეორე დღეს სტამბა გაეანთა-ეისუფლე და „ცისკრის“ გამოცემა დაეიწყეო. ეს გარემოება ისე ეწყინა გ. ერისთავს, რომ მან „ცისკარში“ თავის სიკვდილამდე ერთი პწკარიც არ დაბეჭდაო... ეიდრე „ცისკარს“ გამოეცემდით, მინამდის ალ. ორბელიანი ენით ქა. დაგებდა და 1856 წ. თფილისში პატარა ქართული წიგნიც დაბეჭდა, სადაც „ცისკრის“ გამოცემის შესახებ საუბრობს და ხალხს ურჩეეს, რომ ამ კეთილ საქმეს ხელი შეუწყეთო. 1857 წ. „ცისკარმა“ 1875 წლის ნახევრამდის გასტანა. იგი ისეთ დროს მოისპო, როცა ქართულს ენაზე ერთ გაზეთ „დროების“ მეტი სხვა არაფერი არსებობდა.

„ცისკრის“ გამოცემამ ქართველთ ცხადად ამცნია, რომ მათთვის დიდ საჭიროებას შეადგენდა სამეურნეო გაზეთის გამოცემაც. 1860 წ. უკვე გადასწყვიტეს „ცისკართან“ ერთად სამეურნეო გაზეთის „გუთნის-დედის“ გამოცემა. რედაქტორობა ივ. კერესელიძემ იკისრა. თხოვნა მალე მიართვეს სადაც ჯერ იყო, მთავრობამ თხოვნა შეეწყნარა. 1861 წლიდამ თფილისში უკვე იწყო „გუთნის-დედამ“ გამოსელა. ორ კვირაში ერთხელ გამოდიოდა, შიგ ყოველთვის სამეურნეო წერილები იბეჭდებოდა. ასეთის წერილების წერით კარგი შრომა დასდო იოსებ მამაცაშვილმა, სამეურნეო სწავლის მცოდნემ და მწერალმა. „გუთნის-დედამ“ 1867 წლამდე გასტანა. 1868 წ. აღარ გამოვიდა. შემდეგ ეს გამოცემა განაახლა ანტონ ფურცელაძემ და 1875—76 წ. ჰბეჭდა კვირაში ერთხელ. ამ დროის გამოცემა მეტად საყურადღებოა, მასში ბევრი ძვირფასი წერილები დაიბეჭდა. „გუთნის-დედა“ საყოველთაოდ მოისპო 1876 წლის შემდეგ. დღეს ამ გაზეთის ნომრების მოპოვება ერთობ იშვიათია.

1860 წ, „ცისკარში“ თანამშრომლები ორ წრედ, ორ დასად გაიყვნენ. ამ ორ წრეთა მეთაურებად ითვლებოდენ აკაკი, ილ. ჭავჭავაძე, ანტ. ფურცელაძე და რამდენიმეც სხვა პირნი. ილ. ჭავჭავაძემ „ცისკარში“ წერას და წერილების ბეჭდვას კარგის თვალით არ შეხედა. მას სხვებიც ბევრნი უმზერდენ ასე, ამიტომ ილ. ჭავჭავაძემ საკუთარის ჟურნალის გამოცემა ინატრა. 1862 წ. ბოლოს უკვე მიიღო ნებართვა და 1863 წ. პირველ იანვრიდან, თბილისში იწყო თვიურ ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ გამოცემა; რედაქტორად თვით ილ. ჭავჭავაძე იქმნა დამტკიცებული. ამ ჟურნალსა და „ცისკარს“ შორის პოლემიკა ატყდა. „ცისკარის“ უმთავრეს პოლემიზატორად ანტონ ფურცელაძე გამოვიდა და „საქართველოს მოამბის“ მხრივ თვით რედაქტორი. ერთნი მეორეს მიმართულებას უწუნებდენ. აკაკი „ცისკარში“ შრომობდა. ამ საკამათო ბრძოლის ნიადაგის გამტკიცებას ერთის მხრით ის გარემოებაც დაეხმარა, რომ „საქართველოს მოამბეზე“ წინეთ „ცისკარში“ აღმოსჩნდენ ზოგიერთი ისეთი ახალგაზრდა მწერლები, რომელთა ნაშრომიც ზოგიერთ უხუცესს მწერლებს არ მოსწონდათ. ამ არ მოწონებას იმაზე ამყარებდენ, რომ ეს არ მოსაწონი ყმაწვილები „რუსეთუმეები“ არიან, თერგის წყალი დაულევიათ და მით სხვა სულის მექონ გმირებად შექმნილანო. ამ შეხედულებამ დაბადა ქართველებში „თერგ-დალეულები“-ს ხანა, რომელთაც 1862 წ. შემდეგ თვალ-საჩინოდ იჩინეს თავი, მათის მეოხებით რამდენიმე კარგი კითხვებიც განიმარტა თუ „ცისკარში“ და თუ „საქართველოს მოამბეში“.

„საქართველოს მოამბე“ წლის გასულს დაიხურა. 1864 წლიდამ იგი აღარ გამოსულა. ილ. ჭავჭავაძის ყვე-

ლა საუკეთესო ნაწერები სულ ამ გამოცემაში დაისტამ-ბენ, მაგალითებრ: „კაციანადამიანი, გლახის ნაამბობი, აჩრდილი, კაკო ყაჩაღი“ და ზოგიც სხვები. გამოცემა წელიწადში 10 მან. ღირდა. ზომით „ცისკარზე“ უფრო სრული იყო, დღევანდელის „მოამბის“ ზომის და გარეგ-ნობითაც მისი ფერი ედო. ამ ჟურნალის დახურვის შემ-დეგ ქართველთათვის დაშთა მარტოდ „ცისკარი“ და მისი და-მატება „გუთნის-დედა“. „მოამბის“ ზოგმა მწერლებმა ისევ „ცისკარში“ იწყეს წერა. უნდა ითქვას, რომ ვინაკი 1860—70 წლებში ქართულ მწერლობაში სახელი განითქვეს და თავი იჩინეს, ყველამ მათ „ცისკარში“ იწყეს წერა. ეს ჟურნალი და ივ. კერესელიძე გახდა მათ წამხალისებლად, ამან ააღებინა ყველას კალამი. პირველად იქ დაიწყეს წე-რა, აკაკიმ, ილ. ჭავჭავაძემ, გ. წერეთელმა, ანტ. ფურცე-ლაძემ, ნ.ნიკოლაძემ და ბევრმაც სხვებმა, რომელთაც შემ-დეგ დაამშვენეს ქართული მწერლობა. 1860 წლის შემდეგ ქართველთ შორის არამც თუ მარტოდ ნასწავლი ქართველნი მიეცნენ გონებრივ წარმატებას და წინსვლას, არამედ ეს მთე ლის ქართველობის მცირე ნაწილმაც შეიგნო, განურ-ჩევლად წოდებისა; ასეთია, მაგალითებრ, ქართველთ სა-მღვდელოთა გარემოება იმ დროში. მაშინდელ ქართველ სამღვდელოებამ ქართულს ენაზე სასულიერო ჟურნალის გამოცემა ისურვა; ეს მათ მალეც მოახერხეს და 1864 წლის ნახევრიდან, თბილისში, გ. ხელიძის რედაქტორო-ბით იწყო გამოსვლა „საქართველოს სასულიერო მახა-რობელმა“ თვიურად, რუსულის დამატებით. წელიწადში 6 მან. ღირდა. ჟამოცემა ვერ მიდიოდა თავის დროის შესაფერად. ორიოდე საქართველოს ისტორიულს მასა-ლებს გარდა ჩვენ იქ სხვას ვერას ვხედავთ ღირსეულს.

ორი სამი წერილიც პ. იოსელიანისა არის მოთავსებული, ისიც რუსულ ენაზე, რუსულს განყოფილებაში, საუბედურო‌ოდ უფერულად დაბადებული „სასულიერო მახარობელი“ უფერულადვე მოისპო 1866 წ. ნახევარს, ე. ი. სულ ორ წელიწადს იდღეგრძელა. კარგს, მხნეს და ქართველ მამულის შვილს მღვდელს-კი შეეძლებოდა მის გამოცოცხ, წინ გაძღოლა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა!

როგორც ვსთქვით ზემოდ, ქართველთ შორის წარმატების ნიშანმა ყველგან იჩინა თავი, ყველა ნაწილს დაემჩნა ეს; აქ ამ დროს, რუსეთიდამ განათლებული ქართველნიც გამოჩნდენ, მცირედ 1860 წლების სხივმაც დაჰბერა, მას თან მოჰყვა სხვა-და-სხვა რეფორმებიც. საქართველოში ბატონ-ყმობის გადავარდნის ამბავმაც მოაღწია. 1864 წ. იგი გადავარდა. ავად თუ კარგად ამ გარემოებამ ქართველთ თავალი გაუხილა. მანამდე თბილისს მთლად სხვები ჰფლობდნენ, იმ დროდამ-კი ქართველთაც იჩინეს თავი, გაჩნდენ სხვა-და-სხვა მუშები, ხელოსნები, წერილი ეაჭრებიც-კი. ყველას მათგანს ცხადად ეჩნეოდა ხალისი და შრომა, ყველა მათგანი თავალს ახელდა. ესეთი მოვლენა იმ დროის შესმენილ ქართველთათვის სასიხარულო მოვლენას შეადგენდა, უმაგალითოს. აქ ამით ქართველთ გაღვიძების და განახლების ზარი დაირეკა. აქ გაჩნდნენ დ. ბაქრაძე, ნიკოლოზ ღოლობერიძე, ვ. თულაშვილი, დ. ყიფიანი, სტ. მელიქიშვილი და რამდენიმეც სხვა პატიოსანი ქართველნი, მათ განიზრახეს ქართულს ენაზე გაზეთის გამოცემა. ამის დროც იყო უკვე, ჟამი მოახლოებულ იქმნა, ამავე დროს თბილისში ჩამოვიდა გიორგი წერეთელი. გ. წერეთელს, როგორც მხნესა და ერთგულს, წინადვე იცნობდენ ზე-

მოდ დასახელებულნი პირნი. მათ გიორგი წერეთელს გაზეთის რედაქტორობის სახელის მიღება დაავალეს. გ. წერეთელიც თანახმა გახდა, გამომცემლად-კი სტ. მელიქიშვილი დანიშნეს, რომელსაც მაშინ თბილისში საამხანაგო სტამბაც ჰქონდა. მალე წესდება შეამუშავეს და 1865 წლის ბოლოს მთავრობას სთხოვეს კვირის გაზეთ „დროების“ გამოცემა... 1866 წ. მარტის პირველიდამ გ. წერეთლის რედაქტორობით და სტ. მელიქიშვილის გამომცემლობით თბილისში იწყო „დროებამ“ გამოსელა, კვირაში ერთხელ, პარასკეობით. გაზეთის ზომა დღევანდელის „ივერიის“ ზომის იყო, წელიწადში 6 მან. ღირდა. გაზეთის საქმე საქართველოში თუმც არ ახალი იყო, მაგრამ რადგანაც რედაქტორს პირველს წლებში გაზეთის ხარჯით დარჩენა გაუჭირდებოდა, ამიტომ ზემოხსენებულ პირებისაგან გ. წერეთელს თვეში ჯამაგირად 50 მან. დაენიშნა. ბ. ნიკოლოზ ღოღაბერიძემ მიამბო შემდეგი: „მაშინ „დროება“ კვირაში ერთხელ გამოდოდა, მაგრამ როგორც ახალი საქმე, ისე გვიჭირდებოდა, რომ ნომრის გამოსელის წინა ღამეს ხშირად შუაღამემდის სტამბაში ვრჩებოდით; გ. წერეთელს თვეში 50 მან. ვაძლევდით. გაზეთის შემოსავალი-კი გამოცემას უნდებოდა, არც-კი ჰფარავდა გასავალს, ამ საქმეს ჩვენ ემეთაურობდით, დ. ბაქრაძე, სტ. მელიქიშვილი, ვახტანგ თულაშვილი და მე“.

გაზეთის გამოცემა საქართველოში ახალი საქმე არ იყო, მაგრამ 1832 წ. შემდეგ 1869 წლამდე იმდენმა ხანმა გასტანა, რომ აქ ქართველთათვის ყველაფერი ხამ მოვლენას შეადგენდა, მარტოდ საგაზეთო წერილების წერა და ტერმინების გამორკვევა აჭირვებდა საქმეს. ბევრის შრომით და ღწვით გაზეთმა გზა გაირკვია, თა-

ნამგრძნობთ გარდა ისეთი თანამშრომლებიც მოიპოვა, რომელთაც უადვილესად იწყეს საგაზეთო წერილების წერა. ამ გაზეთის გამოცემით იწყება ახალი ხანა, როგორც ქართველ ერის ცხოვრებაში, აგრეთვე ქართულ მწერლობის ასპარეზზე. მოკლედ უნდა ითქვას, რომ 1866 წლიდამ ქართველთ შორის „დროების“ გამოცემამ ძირითადი ცვლილება მოახდინა, მან აღანთო სინათლის მომცემი სანთელი, ამ სანთელმ აიყოლია უმრავლესობა. ამ ძალოვნებას დიდათ ეხმარებოდა ის გარემოებაც, რომ „დროება“-ში იწყეს წერა ყველა ჩვენმა გამოჩენილმა მწერლებმა. ჟურნალ „ცისკარს“ ცოტა არ იყოს „დროებამ“ საქმე შეუფერხა, მაგრამ მაინც „ცისკარი“ სულდგმულობდა, რადგანაც მას აქა იქიდანაც ეხმარებოდნენ. გ. წერეთელი მარტოდ „დროებაზე“ არ შეჩერდა, მან სხვა გაზეთის გამოცემა ინატრა, 1868 წ. ეს მოახერხა კიდეც, ამიტომ გაზეთი „დროება“ სერგეი მესხს გადასცა. სერგეი მესხი მეტად ამაგდარი პირია ჩვენი მწერლობის ასპარეზზე; არა მგონია, რომ ქართველ მოღვაწეთ შორის მას ბევრი ჯინმე შეედაროს ჩვენში. მან იწყო „დროების“ გამოცემა. რადგანაც მისთვის გაზეთის გამოცემა შეიძლებოდა ძნელი ყოფილიყო შეუძლებლობის გამო, ამიტომ „დროების“ გამომცემლად ისევ სტეფანე მელიქიშვილი დაშთა (ქართველ-კათოლიკე) და რედაქტორად ს. მესხი. სტეფანე ზარაფოვმა (ქართველ-კათოლიკე), მაშინდელმა მდიდარმა მოქალაქემ, ს. მესხს. ერთი შრომა მიანდო, რაშიაც იგი თვეში 50 მ. აძლევდა. ამით ს. მესხი სცხოვრებდა და გაზეთის შემოსავალი გაზეთსავე ხმარდებოდა.

ნელ-ნელა ხალხში „დროება“ ფეხს იდგამდა, ს.

მესხის ენერგიული შრომაც დიდს ძალას აძლევდა წარ-
მატებისთვის. ამ მოღვაწემ მასზე უანგაროდ იმუშაკა.
თავის დაუღალავის მოღვაწეობით ბევრს მდაბიოს ას-
წავლა კითხვას გარდა თვით საგაზეთო წერილების წე-
რაც. ყველა ამისთვის იგი ხშირად დიდს გაჭირვებასაც
ითმენდა, ამ გაჭირვების მნახველია თვით ამ სტრიქონების
დამწერი. სერ. მესხი კარგა ხანს დარჩა „დროების“ რე-
დაქტორად.

1875 წლიდამ „დროება„ კვირაში სამჯერ გამოსცა,
ცოტა გაზეთის ფორმა-კი დაუპატარავა, ფასი წელიწადში
10 მან. გამოცხადდა. 1877 წ. რუსთა და ოსმალთ ომი
დაიწყო, ხალხში დიდს საჭიროებას შეადგენდა დღიური
დეპეშების კითხვა. ამ წლის აპრილიდამ ს. მესხმა „დროე-
ბაც“ დღიურ გაზეთად გადააკეთა, ხოლო ზომას კიდევ
დაუკლო, 1879 წლამდე ამ ზომით გამოდიოდა. 1880 წ.
ჟურნალ „ივერია“-ს დაუკავშირდა. ასე ამჯობინეს, გა-
ზეთს ზომაც მოემატა, ხელის მომწერლებიც გამრავლდა.
1882 წლის ბოლოს „ივერიას“ მოსცილდა. ს. მესხიც
ავად გახდა, 1883 წ. გაზეთი ივ. მაჩაბელს გარდასცა,
თვით აბასთუმანს წავიდა ავადმყოფობის გამო, მაგრამ
იქიდან ველარ დაბრუნდა, 1883 წ. გარდაიცვალა. მას
შემდეგ „დროებას ივ. მაჩაბელი განაგებდა, მაგრამ ამის
ხელში გაზეთი დიდ ხანს ვერ დარჩა. 1885 წ. ენკენის-
თვის პირველ რიცხვს მთავრობის განკარგულებით „დრო-
ება“ საყოველთაოდ მოსპობილ იქმნა. ამ დროს „დროე-
ბის“ გამომცემლად ირიცხებოდა ცნობილი ქართველი,
გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი, ძვირფას „ევფხის-
ტყაოსანის“ გამომცემელი. მე აქ განზრახვად არ მაქვს
რომ გამოცემათა ცნობებს გარდა გამომცემელთა და რე-

დაქტორთა ბიოგრაფიულ ცნობებზედაც ვისაუბრო, ამიტომ დაწერილებით საუბარს რედაქტორ-გამომცემელთა შესახებ გვერდს აუვლი. მარტოდ გამოცემათ ვეხები. ამიტომ ივ- მაჩაბელზე აქ არას ვამბობთ, ასეთ პირთა შესახებ ჩვენ სხვაგან გვაქვს საუბარი. მაშ აქედან ისევ საგანს დაეუბრუნდებით. გ. წერეთელმა „დროების“ მოშორების შემდეგ, თბილისში „სასოფლო გაზეთის“ გამოცემა იწყო, ორ კვირაში ერთხელ, კარგის პროგრამით. როგორც სამეურნეო გაზეთი ეს გამოცემაც დაემჯობინა ივ. კერესელიძის სამეურნეო გაზეთ „გუთნის-დედას“. ამის გამოცემის შემდეგ „გუთნის-დედამ“ დიდხანს ველარ გასძლო, მალე დაიხურა. რედაქტორმა იმეცადინა და რაც სამეურნეო საზოგადოებისაგან „გუთნის-დედა“-ს დახმარება ეძლეოდა, ის დახმარება „სასოფლო გაზეთს- მიეცა. ამ გარემოებამ გაზეთს პირში სული ჩაუდგა. ასეთ დახმარებას გარეშე კერძო, ანუ გარეშე ხელის მომწერნიც ჰყვანდენ. „სასოფლო გაზეთში“ სამეურნეო ნაწილს გარდა ეთნოგრაფიულს წერილებსაც ჰბეჭდავდენ, მოთხრობებს, ლექსებს; სამეცნიერო სტატიებიც ხშირად იბეჭდებოდა: ფიზიკიდან, ბოტანიკიდან, ანატომიიდან და ექიმობიდანაც. ეს გაზეთი გ. წერეთელმა კარგა ხანს მართა, ევროპაში წასვლის წინეთ იგი პეტრე უმიკაშვილს გარდასცა, პეტრე უმიკაშვილმა 1878 წლამდე ჰბეჭდა „სასოფლო გაზეთი“ და მერე-კი მოსპო, რადგანაც ხელის მომწერთა რიცხვმა ერთობ იკლო. მთავრობაც ალარაფერ დახმარებას უჩენდა. წელიწადში ამ გაზეთის ფასი სამი მანეთი იყო, გამოდიოდა ერთ კარგს ერცელ საბეჭდს ქაღალდზედ, ხოლო დაკეცილი. ვამიგონია, რომ სოფლის საზოგადოებათა წინაშე „სასოფლო გაზეთს“ არა მცირედი

სარგებლობა მოუტანიაო. ეს ეცოდინებათ მათ, ვინც ჩვენი სოფლის ხალხის განვლილ დროთა ცხოვრებას იცნობს. ასე და ამ გვარად 1870 წ. ქართველებს სამი გაზეთი გვქონდა და ერთი ჟურნალი; სახელდობრ: „დროება“, „სასოფლო გაზეთი“, „გუთნის-დედა“ და „ცისკარი“ თვიურ ჟურნალი. ამ დროს „ცისკარი“ ძრიელ ღატაკად გამოდიოდა, ამიტომ ზოგიერთ წარჩინებულ—ქართველთა წინაშე დაიბადა აზრი ახალი ჟურნალის გამოცემის. ამისთვის იმეცადინეს და იშრომეს მრავალთა. 1868 წ. მთავრობისაგან უკვე ნებართვა აიღეს და 1869 წ. ნიკოლოზ ავალიშვილის რედაქტორობით თვიურ ჟურნალ „მნათობმა“ იწყო გამოსვლა.

„მნათობის“ პროგრამა კარგად იყო შედგენილი. ამ ჟურნალში მრავალთ მიიღეს მონაწილეობა. აქ დაიბეჭდა ბევრი რამ საფუძვლიანი თხზულება, თარგმანებიც: მასე, კომბი, ჯონ სტუარტ მილი, სერვანტესი, ბაირონი, შექსპირი, შილლერი და ბევრი სხვანი. გამოცემა წელიწადში რვა მან. ღირდა. ჟურნალს ასე ეწერა:—„მნათობი, საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი 1869 წელს“. რადგანაც „მნათობის“ გამოცემა 1869 წ. მარტიდამ დაიწყო, ამიტომ ამ წელს მხოლოდ ათი წიგნი გამოიცა. „მნათობში“ შრომობდენ სხვათა შორის აკაკი და ანტონ ფურცელაძე. ანტ. ფურცელაძე ერთ უმთავრეს თანამშრომლად ითვლებოდა. ამ ჟურნალის გამოცემაზე ანტ. ფურცელაძეს შრომას გარდა ფულიც საკმარისი აქვს დახარჯული. „მნათობის“ გამოსვლამ სასტიკად იმოქმედა „ცისკარზე“, ამ ჟურნალს დიდი ძალა შემოაკლდა. იგი მარტოდ რედაქტორის ამარა დარჩა. „ცისკარი“ „მნათობს“ როგორმე გაუძლებდა,

მაგრამ მის უბედურება ის იყო, რომ „მნათობის“ მოკა-
მათე „დროების“ მეთაურებმა ჯინზე ჟურნალის გამოცე-
მაც განიზრახეს; 1870 წ. მთავრობას თხოვნა მისცეს და
1871 წ. თბილისში გამოსცემა იწყო ორ თვიურ ჟურნალ
„კრებულმა“ გ. წერეთლის რედაქტორობით. ამ ჟურნალს ასე
აწერია ზეიდან: „კრებული, სალიტერატურო და საპოლიტიკო
ჟურნალი“ გაზეთ „დროების“ და „კრებულის“ ხელის მოწერა
ერთად იყო გამართული და ცალ-ცალკეც. ჟურნალ-გაზეთე-
ბის და წიგნების ბეჭდვა ყველა ერში და ნამეტურ ჩვენში და
ისიც 187ᲘᲐ წლებში ერთობ დიდს საქმედ მიგვაჩნია, მაგ-
რამ უბედურება ის არის, რომ მაშინ ქართულს ენაზე
რაც იბეჭდებოდა, ისიც რის ვაი-ვაგლახით არსებობდა,
მის ხელის მომწერნიც სანთლით საძებარნი იყვნენ და
აბა „კრებულს“ რაღა უნდა შესძლებოდა, რითი უნდა
ესულდგმულა? „დროებას“ 300 ხელის მომწერი ძლივს
ჰყავდა, „ცისკარს“ 100 ხელის მომწერი, „მნათობს“
250-მდე, „სასოფლო გაზეთსაც“ 300-მდე, „კრებულს“
რაღა მოუგროვდებოდა? ბოლოს-კი ის მოხდა, რომ
„კრებულ“მა „მნათობს“ ხელი შეუშალა. ჯერ დღეს, ამ
მეოცე საუკუნეს ვერ გაუძლია 4—5 ქართულს გამოცე-
მას და აბა მაშინ საიდამ რა უნდა ქმნილიყო. როცა
ქართველთ განათლებულთ რიცხვი ერთობ მცირე იყო
და მდაბალი ხალხი ხომ სულ არ მისდევდა მწიგნობრო-
ბის საქმეს. „კრებულმა“ „მნათობს“ მით უფრო შეუ-
შალა ხელი, რადგანაც „კრებულში“ შრომა დაიწყეს
ილ. ჭავჭავაძემ, აკაკიმ, ნ. ნიკოლაძემ, გ. წერეთელმა
და ზოგმაც სხვებმა. 1871 წ. „კრებული“ ორ თვეში
ერთხელ გამოდიოდა. 1872 წ. ბოლოს მთავრობას თხო-
ვნა მისცეს „კრებულის“ თვიურად გამოცემაზე. ნებართვა

მიიღეს, რედაქტორად კირილე ლორთქიფანიძე იქმნა დანიშნული 1873 წ. „კრებულმა“ თვიურად იწყო გამოსვლა, მაგრამ წლის ბოლოს „კრებულიც“ მოისპო. 1873 წ. „კრებულის“ სულ ათი ნომერი გამოვიდა. 1871—72 წლებში კი 12 წიგნი. სულ 22 წიგნი გამოიცა. ამაზეა ქართულად ნათქვამი:—„შენც წახდი მეც წამახდინე, ქრისტე აღსდგა, გიხაროდესო“. 1869 წ. „მნათობი“ დაიბადა, მას შეცილებად 1871 წ. „კრებული“ მოეელინა. იმიტომ „მნათობი“ 1872 წ. ბოლოს მოისპო, ყველას ეგონა, რომ ახლა მაინც იდღეგრძელებსო და რა-კი არა 1873 წლის ოქტომბრის ბოლოდამ „კრებულიც“ მოისპო. კირილე ლორთქიფანიძე პატივცემელი პირია ქართულს მწერლობაში, იგი თავის ნაწერებს გვარსაც არ აწერდა. სხვათა შრომის მისგან ნათარგმნი ლექსები „კრებულში“ ნათლად ბრწყინვენ, ეს ლექსები დღესაცა დიდის ხალისით იკითხება, ლექსები გახლავთ ვიქტორ ჰუგოსი დობროლუბოვისა და ნეკრასოვის „პოეტი და მოქალაქე“.

კირილე ლორთქიფანიძეს სულით და გულით ეწადა „კრებულის“ გამოცემა, მაგრამ მაშინ დრო ისეთი იყო, გამოსაცემ საშუალებას თვით სესხათაც ვერსად შოულობდა. მეათე წიგნის შემდეგ ველარ გამოსცა. ასეთ მდგომარეობაში იყო მოთავსებული ქართულ გამოცემათა საქმე და მეტად დაკნინებულს სურათს წარმოადგენდა, თუმცა იმავ დროს ჩვენ სახლის შვილთა შორის ძრიელ ბევრნი შეძლებულნიც იყვნენ, მაგრამ არც ერთი მათგანი ქართულ მწიგნობრობაზ ზედაც არ უყურებდა. თვით კირილე ბეჟანისძე არის ერთი უწარჩინებელესი ქართულ მოღვაწე მამულის შვილთაგანი, რომლის მსგავსი პატრიოსანი მოღვაწე კაცები ქართველთ შორის ერთობ

იშვიათია, იგი სათნოება არს სუფთა ქართველ ჯგუფისა, მაგალითი ყველასი და მასთან მრავალ ნაირად ნაშრომი ქართული მწერლობის ასპარეზედ. „ჟრუბულის“ და „მნათობის“ დახურვის შემდეგ „ცისკარმა“ სამს წელიწადს გასტანა, ჩვენდა საუბედუროდ, საქმე ისე მოგვიხდა და „ცისკრის“ რედაქტორსაც ისე აეხვეწა საქმეები, რომ 1875 წ. დასაწყის მხოლოდ ორი წიგნიღა გამოსცა „ცისკრის“ და მის გამოსელით ესეც მოისპო, დარჩა მხოლოდ გაზეთ. „დროება“. ამ გაზეთს გარდა ხანდისხან „სასოფლო გაზეთი“ და „ვუთნის დედაც“ ჩნდებოდნენ, მაგრამ ვაი მათ ბედსა და გამოჩენას.

საქართველოში, ქართველ თავად აზნაურთა ბანკებმა თფილისსა და ქუთაისს თვალთ საჩინოთ იწყო მოქმედება, ამათგან ხშირად სხვა და სხვა განცხადებანიც სჩნდებოდა გაზეთში დასაბეჭდათ. ასეთ განცხადებანი „დროებას“ სულის მანანათ მოველინა. წერილმან განცხადებათა გარდა „დროება“-შიც დაიწყეს ბეჭდვა ბანკის ერცელი განცხადების, რითაც მემამულეებს ვალის შეუტანლობა ეცხადებოდათ. გაზეთ „დროებამ“ ამით სული ჩაიდგა, საგაზეთო ქალალდის მოვალეებისაგან განთავისუფლდა და გაზეთმაც შეღავათებთ იწყო გამოსელა. სხვა-და-სხვა გარემოებათა მეოხებით იმ დროის „დროების“ თანამგრძნობელთ რიცხვი ორად გაიყო. ერთის მხრის მეთაურად ილ. ჭავჭავაძე და ბესარიონ ღოლაბერიძე აღმოსჩნდნენ. 1876 წ. შუა რიცხეს ამათ საჭიროდ დაინახეს საკუთარის გაზეთის გამოცემა, წლის ბოლოს მთავრობას თხოვნა მისცეს კეირის გაზეთ „ივერიის“ გამოსაცემლად. ნებართვა დროით მიიღეს და 1877 წ. მარტის პირველიდგან გამოცემაც დაიწყეს. ორი წლის განმავალობაში „ივე-

რია“ კვირის გაზეთად გამოდიოდა, 1879 წ. კი თვიურ ჟურნალად გადააკეთეს. მაგრამ ხელის მომწერთ საქმეს-კი წარმატება არ ეძლეოდა. წლის გასულს „ივერია“ დღიურ გაზეთ „დროებას“ დაუკავშირეს, გაზეთ „დროების“ ზომა განავრცეს, ხოლო ჟურნალი „ივერია„-კი თვიურ გამოცემის მაგიერ სამ თვეში ერთ წიგნად გამოვიდა, სიერცით-კი 1879 წ. თვიურ გამოცემაზე ერცელი იქმნა. წლის გასულს „ივერია“ გაზეთ „დროებას მოსცილდა. „ივერია“მ თვიურად იწყო გამოსვლა. ზომა დააპატარავეს. 1885 წლის ბოლოს თვიური გამოცემა შეჩერდა და 1886 წ. „ივერია“მ დღიურ გაზეთად იწყო გამოსვლა, ეს გაზეთი დღევანდლამდის არსებობს ფართოს ზომით და სახით. უნდა ითქვას, რომ 1881 წლიდამ 1885 წლამდე ჟურნალ „ივერიის“ გამოცემაზე მეტად დიდი შრომა აქვს დადებული ბ. ივ. მაჩაბელს, თითქმის იგი რედაქტორობდა, მთლად მის ხელმძღვანელობის ქვეშ გამოდიოდა. ივ. მაჩაბელი შრომობდა არა მარტო წერით, არამედ კორეკტურითაც და სხვა და-სხვა წერილების სწორებითაც. ჩემს გარდა ამას სხვებიც იტყვიან პირუთვნელად. როგორც გაზეთ „დროებამ“ ისევე „ივერიამაც“ საკმარისი ამაგი დასდო ქართველობას; როგორც პირველ გაზეთით იძენდნენ ქართველთ უმრავლესნი გაზეთის კითხვას და მწერლობას, ესევე ჰქმნა „ივერიამაც“. ქართველთ ახალგაზდა სიტყვა კაზმულ მწერლებმა და მდაბიოდ გაწვრთნილ მელექსეებმაც „ივერია“-ში დაიწყეს პირველად წერა, როგორც „დროებამ“, ისევე „ივერიამ“ ქართველებში შესამჩნევად დააჩნიეს თვისი კვალი. „ივერია“ს დრო-და-დრო ჰყვანდნენ ისეთი შესამჩნევი მართველნი და მეთაურ მწერალნი როგორიც გახლდათ ბ. დავით მიქელაძე. ფსევ-

დონიმით მეველე, ამ პირის შრომა და ამაგი „ივერია“ში ამაგდარია, მის მართვის დროს „ივერიაში“ ბევრმა მდაბიო ახალგაზრდა ქართველმა იწყო შრომა დაწერა. ევდოშვილმა აქ დაიწყო წერა და ბეჭდვა, ასევე ცინცაძემ და ნინოწმინდელმა, ყველა ამათ თითქმის მეველემ აღებინა ხელში კალამი. დღეს ამ ახალ მწერლებს ჩვენს მწერლობის ასპარეზედ საკმარისი ადგილი უკავიათ. ყველა ამ ახალ მწერლებთ სახელებს აქ არ ვახსენებთ. დავით მიქელაძე ქართულ მწერლებში 1870 წლიდამ მოღვაწეობს და მას ერთობ დიდი შრომა და ამაგიც დაუძეს ქართველთ წინაშე. პირველად „დროებაში“ დაიწყო მან წერა.

„ივერიის“ დაარსების შემდეგ ქართველებში მწერლობის საქმე კარგათ გაჩაღდა თბილისის გარეშეც. 1880 წლებში ქუთაისში კრებები გაიმართა, კრებებზედ საუბარს სძრავდენ ქუთაისში გაზეთის გამოსაცემდ. გამოცემის ნატვრა მალე გადასწყდა. 1880 წ. მთავრობას თხოვნა მისცეს, ნებართვა მალე მიიღეს და 1881 წლის შუა რიცხვებიდამ კვირის გაზეთ „შრომის“ გამოცემაც დაიწყეს „შრომის“ რედაქტორად დიმიტრი დადიანი იყო. გაზეთი „შრომა“ გამოდიოდა კვირაში ერთხელ. ხუთშაბათობით, წინანდელ „ივერიის“ ზომით. ქუთაისში ქართულის გაზეთის გამოცემის საქმე ყველა ჩვენთაგანს დიდად გაეხარდა, ყველა აღტაცებით მიეგება მით უფრო, რადგან იმერეთისკენ საჭირო იყო დროგამოცემის დაწყება. აი დაიწყეს კიდეც. ხელის მომწერთა რიცხვიც კარგად მიდიოდა, გაზეთის მიმართულებაც მკაცრად ეკვემდებარებოდა ჩვენს მაჯის ძარღვის ცემას, ჩვენს განზრახვას და მიმართულებას. გაზეთის საბედნიეროდ მისი ცენზუ-

რაც ქუთაისში იქმნა დაარსებული, მაგრამ იმერთ შორის ასეთმა ბედნიერებამ დიდხანს არ გასტანა,—შინაურ მოლაქლაქეთა მეოხებით „შრომაზე“ სხვა-და-სხვა ცილისწამებანი და ჭორები გაიმართა, „შრომის“ ცენზურა თბილისში გადმოიტანეს, ასეთი გარემოება გაზეთმა ვერ აიტანა, მესამე წლის ნახევარს იგი თავის უნებლიედ უდროოდ მოისპო.

იმერეთში „შრომის“ დახურვა ბევრს ეწყინა, ნამეტურ ჩვენ გულ-შემატკივართ. რაც თბილისში ქართული გამოცემანი იბეჭდება, მათ რომ იმერლობა არ ჰყვანდეს მკითხველად. მაშინ ვერც ერთი გამოცემა ვერ იდღეგრძელებს, რადგინაც რაც-გინდ სახელოვანი გამოცემანი იქმნეს, მას ქართლ-კახეთიდგან 100 ხელის მომწერზე მეტი ვერ შეეკრიბებათ, ეს ჩვენ ცნობათ რიცხვითაც ვიცით. აი ენახოთ თუნდ დღევანდელი გაზეთების საქმე, გადავშინჯოთ მათ ხელის-მომწერთა რიცხვი და იქიდამ ნათლად დავრწმუნდებით, რომ ეს ყოფელიევ სულ მართალია: მაგალითებრ: იმერეთის გარდა, სადაც-კი იმერთაგანნი სცხოვრებენ ან მსახურობენ, იქაც-კი სჭარბობენ ქართლ-კახელებს წიგნების კითხვით და განვითარების მისწრაფებით. ქართულ-ჟურნალ-წიგნები განჯაში, ბაქოში და ასეთ ქალაქებში უფრო მეტი მიდის ვიდრე ქართლ-კახეთში; რაც განჯიდან ქართულ-ჟურნალ-გაზეთებს ხელის მომწერნი ჰყავს, იმდენი მთელს კახეთში არ მოიპოვება. ვერე ვინ არიან იქ მყოფ ხელის მომწერნი? მფლად იმერნი; ასში იქმნება ათი ქართველი ან კახელი გამოერიოს. ქართული წიგნების საქმეც ასეა.: რაც თბილისში ქართული წიგნები იყიდება, მის ცხრა წილს იმერლები ყიდულობენ, ქართლ-კახელნი-კი იშდენს, რომ იგი ახსენებლათაც არა

ლირს; ასეთ მაგალითსაც წარმოადგენს სახელმძღვანელო წიგნების საქმე, რაც მარტოდ იმერეთის ერთს მაზრის სოფელში იყიდება, იმდენს მთელს ქართლში არა აქვს მოთხოვნილება. აი კიდევ ამის მაგალითი: თბილისის ყველა სტამბის საუკეთესო ამომწყობლებად მთლათ იმერნი ირიცხებიან.

ნამეტურ გურულები. მათი გამრავლება 1867 წ. იწყება. მას შემდეგ გურია იმერეთიდგან თბილისში რამდენიმე ყმაწვილ კაცნი ჩამოვიდნენ, თბილისის სტამბებში შეგირდებათ დადგნენ და სტამბის ხელობა ისწავლეს. იმერეთიდამ თფილისში უფრო მიტომ მოდიოდნენ ახალგაზრდობა და სტამბაში დგებოდნენ მოწაფედ, რადგანაც თფილისის სტამბებში ქართლის ხალხის შვილები სრულებით არ ეტანებოდნენ. არამც თუ მარტოდ მაშინ იყო, არამედ დღესაც კიდევ ისევეა, თფილისის ქართველთა შვილებს მეხილეებს აძლევენ ბიჭად, მეწვრიმალეს, მიკიტანს, მენახშირეს, მეტაჭკეს, მეპიკეს და მეარღნეს, ხოლო სტამბას-კი ახლოსაც არ ეკარებიან. დღესაც-კი რომ თფილისის სტამბებში იმერთ ხელოსნები არ მუშაობდნენ, უამისოდ ვერც ქართული გაზეთი გამოიცემა და ვერც წიგნი. თქვენი მტერი მაშინ ჩვენი საქმე. სამწუხაროდ, თფილისში ქართული წიგნების ამომწყობათ თვით სომხის შვილებიც-კი სჭარბობენ, რომელნიც ქართულ წიგნებს აწყობენ.

ამაზე მეტი უბედურება იქმნება! მე ამას აქ ვახსენებ როგორც ფაქტს, თორემ ჩემთვის სარწმუნოებას არა ვითარი მნიშვნელობა არ აქვს, ქართულ ენაზედ მოსაუბრე მე ყველა ქართველად მიმაჩნია და სწორედ ასევე უყურებ ქართველ სომხებსაც, ანუ ქართველ გრიგორიანებს. ისიც-კი უნდა ვსთქვათ, რომ ამ ბოლოს დროს, ტეტითა შორისაც გაჩნდნენ თითო ოროლა ისეთი

ახალგაზრდები, რომელთაც სასტამბო საქმეს კარგის თვალით შეხედეს და ამ ხელობას შესწავლაც იწყეს. ძლიერს თითო ოროლა უკვე გამოსჩნდა მათში, მათაც გაახილეს თვალები, ტეტიამ იწყო აქეთ იქით ფხიზლად მზერა. ამათზედ დიდი ზე გაელენა იქონიეს იმერელ ხელოსნებმა. იმერთ ხელოსნებით მოფენილია არა მარტო თფილისი, არამედ მთელი ამერეთიც. სანატრელია ამიტომ, რომ ქუთაისსა და ბათუმს ქართულს ენაზედ დროის გამოცემანიც დაარსდენ, რაც ერთი ათად უფრო წინ წასწევს სტამბების და ხელოსნების საქმეს.

იმერნი ქებულნი უნდა იყვნენ ჩვენს წინაშე, მათ გაგვისწრეს წინა, ყველა დაწესებულებაში ესენი სჩანან, სკოლებში, ვაჭრობაში, ხელობებში და ქარხნებშიაც. მაგალითებრ თვით ჩვენი მწერლობის ასპარეზიც მხოლოდ იმერთ შვილებით არის თვალთ საჩინო. იგინი გვჯობნიან, იგინი მიდიან წინ, იმერნი გამოვიდნენ ძველის დახავსებულის აზიურის მდგომარეობიდამა, დღეს იმერთმა შვილებით საესეა თვით თფილისის საშუალო სასწავლებლებიც, თვით უმალლეს სასწავლებლებსაც ესენი ამშვენებენ, ჩვენ კი ბედშავი ქართლ-კახელნი რაც ვიყავით ალარც ის ვართ, და მომავალში რა ვიქნებით, ეს უწყის ჩვენმა ბედასლობამ, ჩვენმა ბეჩავობამ! მძიმეს აზიურის სპარსულის მდგომარეობიდგან არ იქმნა, ვერა გვეშველარა ვერ გამოვედით. ჩვენ ნამდვილი მოუხეშავი სპარსნი ვართ და იმერნი კი ევროპიელნი.

„შრომისავე“ დროს, ქუთაისში, არც ქართველთ იმერეთ ქალნი ჩამოურჩნენ მწერლობას უკან, მათშიაც განცხოველდა მწერლობის პატივის ცემა, მათაც მოისურვეს ქართულს ენაზე თვიურ ქართულ ჟურნალის გამო-

ცემა, რომელსაც კერძოდ ქართველ ქალთა კალმის ნაწარმოებთა დანიშნულება უნდა ჰქონოდა. ასეც იყო. მათ მალე მისცეს თხოვნა მთავრობას და აიღეს ნება რთვა თვიურის ჟურნალის „ქართულის ბიბლიოთეკის“ გამოცემის. ჟურნალმა ერთ წელს გასტანა. მეთორმეტე წიგნი გამოიცა და მით მოისპო კიდეც. ამ ჟურნალში ქართველთ ქალებმა მშვენიერად იმუშავეს. ბევრი რამ საინტერესო ნაწერები სთარგმნეს და დაბეჭდეს. მთელს თორმეტ წიგნში მამა კაცის მხოლოდ ერთი ლექსია დაბეჭდილი, დიმ. ყიფიანის, სადაც აწერილია ქალთა კითხვების და მათ ღირსების შესახებ.

ამ თვიურ ჟურნალის დროს, იმერეთში ქართული სასულიერო გაზეთი „მწყემსიც“ გამოდიოდა, რომელსაც სცემდა და ამ ჟამადაც სცემს დეკ. დავით ლამბაშიძე. ასეთი სასულიერო გაზეთის გამოცემა საქართველოში, ქართულს ენაზე პირველი მაგალითი იყო.

გაზეთი „მწყემსი“ ორ კვირაში ერთხელ გამოდის, იგი დაარსებულ იქმნა 1883 წ. სასულიერო ნაწილის გარდა იქ ბევრი ისტორიული წერილები და მასალებიც იბეჭდებოდენ, სხვათა მრავალთა შორის „მწყემსში“ მუშაობდენ ცნობილი მოსე ჯანაშვილი, ეპისკოპოზნი: კირიონი და ლეონიდი, ბ-ნი ალ. ხახანაშვილი, ბ-ნი ილარიონ და რამდენიმეც სხვა-და-სხვა ქართველთ მეისტორიებიც. სხვათა შორის ამ გაზეთში დაიბეჭდა ევროპის კათოლიკეთ მოგზაურ მოძღვარ მამა იოსებ ზამპის მოგზაურობა და ზოგიც სხვა. ასეთ წერილებს გარდა ქართველ სასულიერო პირთ სახელმძღვანელოთაც ბევრი რამ საყურადღებო დარიგება იბეჭდებოდა; დარიგებანი ყოველთვის მკაფიოდ განუმარტავდენ სხვა-და-სხვა მოვალეობას

თავიანთ სამსახურის შესახებ. ქართველთ სამღვდელოთ უმარველესობა ბევრ რამეში იყო უკან ჩამორჩენილი, მან ბევრი რამ თავის საკალდებულო კითხვების არა იცოდა რა, ბევრში სცდებოდენ, ამ შემთხვევებს „მწყემსი“ მწყემსად მოეელინა. ბევრს მდაბიოთ განსწავლულ მღვდელს ამცნია რთული და მიუხვედრი საეკლესიო ცნობების ვალდებულება. ხშირად მოწინავე წერილებით ქართველთ საჭირვარამო კითხვებსაც შეეხებია, ნამეტურ საერო და სამრეველო სკოლების საქმეს, ქართული ენის მფრველობას ყველა ქართველთა კუთხეებში, მეგრული ენის წინააღმდეგაც საკმარისად ილვაწა, ბევრს ძველს ნაშთების განახლების კითხვებსაც შეეხო. ქართულ „მწყემსთან“ რუსული დამატებაც გამოდის, რუსულშიაც ხშირად იბეჭდება საქართველოს შესახები წერილები; „მწყემსი“ წელიწადში სამი მანეთი ღირს. იმედია, რომ ოდესმე „მწყემსი“ კვირის გაზეთადაც გარდაკეთდებოდეს.

როგორც იმერეთს დაეტყო და მწერლობის საქმე წარმატემით წავიდა, ისევე მოხდა თფილისშიაც: ამავე დროს, თფილისშიაც ატყდა საუბარი ჟურნალ „იევრიას“ გარდა სხვა ჟურნალის გამოსაცემად, რედაქტორად ქალ. გაბაშვილისა იქმნა ამორჩეული; ამან მთავრობას თხოვნა მისცა, ნებართვა მიიღო. ჟურნალის უმთავრეს თანამშრომლად სხვათა შორის ანტონ ფურცელაძე ირიცხებოდა, რედაქცია მოათავსეს, ხელის მოწერაც გაიმართა, ჟურნალის პირველი ნომრის ბეჭდვაც დაიწყეს. პირველ ნომერში სხვათა შორის უნდა დაბეჭდილ იყო ორი წერილი ანტონ ფურცელაძის, ერთი მოთხრობა „ეა-მ ა რ თ ა ლ თ ა“ და მეორე კრიტიკული წერილი, ეს ზოგი ერთ თანამშრომლებმა არ ჰქმნეს, ანტონ ფურცელა-

ძის ნაწერებს წუნი დასდეს. ანტ. ფურცელაძეც გაშორდა, დაწყნარებული თავისთვის წავიდა, მისი ნაწერები ცალკე წიგნებათ გამოიცა. ჟურნალის საქმე აირია, პირველი ნომერიც ველარ გამოიცა; ზოგიერთ ხელის მომწერთ ფულები ანტ. ფურცელაძემ დაუბრუნა თავის ჯიბიდან. ზოგი ერთ პირთა მეოხებით ასე გათავდა ამ ჟურნალის გამოცემის საქმე.

ასეთსავე გარემოებას წარმოადგენს ერთის ქართულის გაზეთის გამოცემის საქმე. მაგალითებრ: 1883 წ. გაზეთ „დროებას“ ნიკოლოზ ქანანოვი იღებდა 1877—78—79 წლებში „ივერიის“ ნიჭიერი თანამშრომელი, რომელიც ნ. დავითაშვილის სახელით მუშაობდა. ს. მესხთან გარიგებული საქმე ველარ მოხერხდა, გაზეთი ივანე მაჩაბელმა აიღო. ნ. ქანანოვს ამაზე ჯავრი მოუვიდა. მალე მთავრობას თხოვნა მისცა ქართულს ენაზე დღიურ გაზეთის გამოსაცემად; ნება-რთვა მან მალე მიიღო და 1884 წლის შუა ზაფხულს ერთი ნომერიც გამოსცა, ხოლო 1886 წლის პირველ იანვრიდამ გამოცემასაც დაიწყებდა. გაზეთს ასე ეწერა: „მოამბე“ საპოლიტიკო და „სალიტერატურო გაზეთი“. წელიწადში 8 მან. რედაქტორის საქმე ისე დაიხვეწა, რომ იგი სამსახურისთვის ბაქოს გადავიდა; ამიტომ „ᲫᲝᲐᲛᲑᲘᲡ“ ერთ ნომრის გარდა ველარ მოახერხა. ასეთისავე ბედის გარემოებით შეისაზღვრა ამ გამოცემაებზე წინეთ 1879 წ. ერთი სხვა ქართული გამოცემის საქმე; ეს იყო ნ. ნიკოლაძის ქართული გაზეთის გამოცემა, როცა იგი რუსულს „აბზორს“ ჰბეჭდავდა, მაშინ ქართულს მწერლობაში მას ურიგოდ ჰკიცხავდენ. მან განიძრახა ქართულს ენაზე საკუთარი გაზეთის „კანდელის“ გამოცემა, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზების მეოხე-

ბით ვერც ამ პირმა გამოსცა ხსენებული გაზეთი „კანდელი“.

ზემო ხსენებულ არ დაბადებულ თვიურ ჟურნალ „მოამიხილვის“ მაგიერ მისმა მეთაურებმა სხვა ჟურნალის გამოცემა განიძრახეს; თხოვნა მისცეს, ნება-რთვა მიიღეს და 1881 წ. თფილისში გამოსვლა იწყო თვიურ ჟურნალ „იმედმა“. ამ დროს ქართულს მწერლობაში თვალსაჩინოდ იჩინა ქართველთ გლეხთა შებრალების და განკაცების ნატვრამ. ის რაც ჩვენის 60 წლების აზრიან მოღვაწე მწერლებთაგან 1860—70 წლებში გამოითქვა, რაკი საფუძვლიანი საქმე ჰქმნეს, ანუ დასწერეს და დათესეს რამე, ამ დანათესის ნაყოფი 1880 წლებში უკვე მომზადდა. მუშაკთ ნახეს ნამუშავარი. ამ წლებში გაჩნდენ ისეთ მკვირცხლ მხედველ ახალგაზრდა მწერლები და მოღვაწეები და მუშაკნი, რომელთაც 70 წლების ქართველთ იდეებით საესე მწერლების ქადაგებანი სარკედ გაიხადეს და მათის ღალადების შესაბამ მოღვაწეობას შეუდგნენ. ერთ ასეთ წრეთა ჯგუფს ეკუთნოდა ჟურნალ „იმედი“ც. ამ ჟურნალის თანამშრომლებმა, ქართველთ გლეხთა ცხოვრებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს. შემდეგ წლებში ეს პატივისცემა ზოგიერთ პირებთაგან დაწუნებულ იქმნა.! „იმედის“ არსებობამ ორ წელს გასტანა; 1883 წლის აპრილიდამ შეჩერდა, მესამე წელს სულ სამი წიგნილა გამოვიდა. „იმედში ყველაზე“ ბრწყინვალედ იშრომა ისტორიკოს-მკვლევარმა ნიკოლოზ ხიზანაშვილმა. ეს პირი ადრე სხვათაგან დაწუნებულ იქმნა, მაგრამ როცა „იმედში“ დაიწყო წერა, მაშინ-კი მრავალნი დარწმუნდენ დიდს შეცდომაზე. „იმედი“ ამ მწერალმა საყურადღებო საკითხად გახადა, მაგალითებრ ამის წერილები: უ ფ ლ ე ბ ა

და კანონი ძველ საქართველოში, ვახტანგ მეფის კანონების გარჩევა და ბევრიც სხვები დიდის სიამოვნებით იკითხებოდა. „იმედის“ დახურვის შემდეგ ამ პირმა „ივერია“სა და „დროებაში“ იწყო შრომა. აქაც არ მოკლებულა მისი საფუძვლიანი გამოკვლევები. ლუკა რაზიკაშვილმაც „იმედში“ დაიწყო პირველად ლექსების წერა.

ოთხი წლის განმავლობაში რამდენიმე სპეციალური გამოცემა დაარსდა; ამათ დაემატა საყმაწვილო ჟურნალი „ნობათი“ც, ანდრია ღულაძის რედაქტორობით. საყმაწვილო ჟურნალ „ნობათმა“ მშვენიერად იწყო გამოსვლა, მისი გაბოცემა ორ წელს გაგრძელდა 1884—85. მესამე წელს-კი მოისპო. ამ ჟურნალის მოსპობამ ყველას დასწყვიტა გული. იგი იბეჭდებოდა მშვენიერს ქაღალდზედ, ფურცლებს გარს წითელი არშიები ჰქონდა შემოვლებული, ყველა ნომერი სუფდად იბეჭდებოდა სხვა-და-სხვა სურათებით ყოველთვის სინათლით ბრწყინავდენ, ქართველთ პატარა ბავშვებს მარტივად აბრწყენდენ, ქართული წიგნების კითხვის სიყვარულით სძრავდენ. „ნობათი“ იქამდის საყვარელი იყო ჩვენი საზოგადოებისთვის, რომ მასში იმუშაკეს ყველა გამოჩენილ ქართველთ მწერლებმა. „ნობათმა“ ჩვენს მწერლობის ასპარეზზე თავისი კვალი დააჩნია, მისი გამოცემა დიდხანს დარჩება ჩვენში სამახსოვროდ. ამ ჟურნალის დაარსებამ და მოსპობამ ქართველთ ნათლად დაუხატა ქართულს ენაზე საყმაწვილო წიგნების ბეჭდვის საჭიროება. ეს იქამდის ცნობილ იქმნა, რომ თითო ოროლა პირებმა სხვა-და-სხვა დროს საყმაწვილო წიგნების ბეჭდვაც დაიწყეს. ამ ნიადაგს მოჰყვა დღევანდელ ქართულ საყმაწვილო წიგნების მრავალად ბეჭდვა, თვით ჟურნალ “ჯეჯილის“ დაარსებაც.

ზემო ხსებებულ მხურვალე წლებს, ანუ ქართველთ დრო გამოცემათა განცხოველების ხანს, ადრინდელ „ცისკრის“ რედაქტორად ყოფილი ივ. კერესელიძე ჩამორჩა უკან. 1882 წ. მან განიძრახა ძველის „ცისკრის“ განახლება, მის დღიურ გაზეთად გამოცემა, მაგრამ ეს ვერ მოუხდა მას. მთავრობას თხოვნა მისცა კვირაში სამჯერ გაზეთის გამოცემის. ნებართვა მალე მიიღო და 1885 წლიდამ „ცისკარმა“ გამოსვლაც იწყო. „ცისკარს“ ვერ დაუდგა კაი დარი. გამოცემის საქმე ძრიელ გაუჭირდა ისე, რომ წლის გასვლამდეც ვერ გასტანა. მეორე წლისთვის საკვირაო გაზეთად გადააკეთა, მაგრამ გამოცემა მანც ვერ შესძლო. მესამე წელს მოისპო. განსვენებულს ივ. კერესელიძეს დიდი ნატვრა-კი ჰქონდა „ცისკრის“ არსებობის, ამისთვის პატარა სტამბის გახსნაც ისურვა. მალე საბეჭდი დაზგაც შეიძინა, მაგრამ ყოველიგე დაუშთა ამაოდ. „ცისკრის“ გამოცემის იმედი ამას მით უფრო ჰქონდა, რადგანაც პროგრამაში სამეურნეო ნაწილსაც დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი. მიტომ მან „კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას“ დახმარებაც სთხოვა. დახმარებას წინეთ დაჰპირდენ, მერე აღარ მისცეს. 1886 წ. ორი ნომერი გამოვიდა კიდევ და მით „ცისკარი“ც სამუდამოდ მოისპო. სამეურნეო გაზეთის შესახებ საუბარმა თვისკენ ჯეროვანი ყურადღება მიიპყრო, მრავალთ სთქვეს, რომ მართლაც და დრო არს, რომ ქართულს ენაზე რიგიანი სამეურნეო გაზეთი გამოიცესო. ნატვრამ გზა გაარკვია.

მალე ვ. სულხანაშვილმა მთავრობას თხოვნა მისცა ქართულის სამეურნეო გაზეთის „მეურნის“ გამოცემის, ნებართვა მთავრობამ მალე დართა. თფილისის სათავადაზნაურო ბანკი „მეურნეს“ წელიწადში 600 მ. დახმარება

დაუნიშნა. 1888 წლიდან გამოცემაც დაიწყო, იმასმა გამოცემამ რამდენსამე წელს გასტანა. შერე „მეურნე“ ილია ჭყონიამ შეიძინა და ქუთაისს გადიტანა. იქ ეს გაზეთი მშვენიერად გამოდიოდა, მასში ბევრი რამ დიდათ საინტერესო წერილებიც დაიბეჭდა, ზოგი ცალკე წიგნებადაც გადიბეჭდენ, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ვერც ეს კარგი გაზეთი დარჩა დიდხანს იქ, 1898 წლიდამ სამუდამოდ მოისპო.

ოთხი ხუთი წლის განმავლობაში ბევრი რამ დაიბადა ქართულს ენაზე, ბევრმა გამოცემამ იჩინა თავი, მაგრამ ყველა ესენი თავიანთ უნებლიეთ მოისპენ- 1886 წ. გაზეთი „დროებაც“ მოისპო და ქართველთათვის ერთად ერთი თვიური ჟურნალი „ივერია“ დაშთა. ამ გარემოებამ გამოიწვია „ივერიის“ გაზეთად გადაკეთება, რომელიც დღევანდლამდეც არსებობს.

ასე ხდება ჩვენისთანა ხალხში, ასე მოგვდის, რადგან ხშირად ჩვენ რის გაკეთებასაც ვიწყებთ, მისი დაკვირვება და დაფიქრება არ ვიცით. როცა საქმე წაგვიხდება, ან გაგვიფუჭდება, ბოლოს „ვაის და ვუის“ ძახილს დავიწყებთ. ხშირად დაგვამართნია ასე და ჯერაც ვინ იცის, როდემდის იქმნება ეს კიდევ ჩვენ შორის.

1878 წლიდამ, თფილისში, ქართული თეატრის საქმემაც ფეხი აიდგა. თეატრს დიდი შესავალი ჰქონდა. ქართველთ მწერლებმა პიესების წერაც ხშირად იწყეს. სათეატრო მწერლობამ თავი იჩინა; ამ გარემოებამ მოთამაშეთ შორის აზრი დაბადა საკუთარის თეატრალურის გაზეთის გამოცემის და 1885 წლის ნახევარს ვ. აბაშიძემ მთარობას თხოვნა მისცა კეირის სურათებიანი გაზეთის „თეატრის“ გამოსაცემად, ნებართვა მიიღო და 1885 წლის ენკე-

ნისთვიდამ „თეატრმა“ გამოსვლაც იწყო. ოთხ წელს გაგრძელდა, ორ წელს კვირაში ერთხელ გამოდიოდა, მესამე წელს რედაქტორად მოთამაშე ა. ნებიერიძე იქმნა მთავრობისგან დამტკიცებული. კვირის გაზეთს ფორმა შეუცვალეს, კვირაში ორჯელ იწყეს გამოცემა „ივერიის“ ზომით. მაგრამ ვერც ამან შესძლო. მეოთხე წელს ისევ კვირის გაზეთად გადაკეთეს, წიგნის მსგავსად გამოდიოდა. მაგრამ ვერც ამით ეშველა რამე და 1888 წ. სამუდამოდ „თეატრიც“ მოისპო. ამდენ გამოცემათა შემდეგ ხსენებულის წლიდამ ქართულს ენაზე გამოდიოდა მოლოდ თფილისში „ივერია“ ქუთაისს: „მეურნე“ და „მწყემსი“.

ამასობაში ახლოვდებოდა 1890 წლები, ქართველთ ჰკვიანურად იწყეს თვალის გახილება 1889 წლისთვის ცნობილმა ქალბატონმა ანასტასია თუმანიშვილისამ (წერეთლისამ) საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ გამოცემის ნება-რთვა აიღო და ხსენებულის წლიდამ ბრწყინვალეთაც იწყო გამოცემა; პირველ წლებში „ჯეჯილი“ ორ თვეში ერთხელ გამოდიოდა, დღეს თვიურად გამოდის. იგი კაიმშვენიერება არის ჩვენი საყმაწვილო ნწერლობის ასპარეზზე; მისი მშვენიერი სურათები და სხვა და სხვა წერილები და მოთხრობები საკმარისად ამდიდრებენ ჩვენს საყმაწვილო ლარიბ მწერლობას. საუბედუროდ, მხოლოდ ჟურნალს არ ჰყავს ბევრი ხელის მოწერი, მისი ხელის შეწყობა-კი სასურველია. რადგანაც „ჯეჯილის“ რედაქტორი ანასტასია თუმანის შვილი-წერეთლისა საკმარისად ამაგდარი ქალია ჩვენს მწერლობაში, ბევრ ნაირად დაჯილდოებული, ქართველთაგან დიდად პატივსაცემი და მაგალითი, რომ ქართველმა ქალებმა ასეთ პატიოსან მშრომელთ მოღვაწეებს მიაქციონ ყურადღებბა და მათებურის მამული-

შვილობით აღიესენ, მათებურად იწყონ მოქმედობა. დროა უკვე, რომ ქართველთ ქალნიც გამოვიდნენ ტიკინურის მდგომარეობიდამ და ანასტასიას მაგალითს დაადგენ. 1890 წ. ქართველთ შორის კეალად განიღვიძა სალიტერატურო ჟურნალის გამოცემის აზრმა.

უკანასკნელ იკისრა ცნობილმა მოღვაწე ნიკოლოზ ღოღობერიძემ, მთავრობას თხოვნა მისცა თვიურ ჟურნალ „მოამბის“ გამოსაცემად. რედაქტორად გახლდათ დანიშნული ალ. ჭყონია. ნება რთვა მალე მიიღეს და 1891 წლიდამ თვიურ ჟურნალ „მოამბემაც“ იწყო გამოსვლა. ამ ჟურნალის გამოცემა კარგათ წავიდა; აქ ნ. ნიკოლაძემაც იწყო შრომა, მას გარდა სხვებმაც ბევრმა. უნდა ვსთქვათ, რომ პირველ წელს „მოამბეს“ ისე წაუვიდა საქმე, რომ ქართველობაში იგი პირველი მაგალითი იყო. ქართველობაში ასეთი ბედი არაფერ ჟურნალს არ ღირსებოდა. თანამშრომლებს ფულსაც აძლევდენ. შემდეგ წლებში სხვა და სხვა მიზეზების მეოხებით ნიკოლოზ ღოღობერიძემ გამომცემლობას თავი დაანება, ალ. ჯაბადარმა იკისრა. დღეს „მოამბე“ ალ. ჭყონიას რედაქტორობით და ა. ჯაბადარის გამომცემლობით გამოდის: მასში ბევრი რამ საყურადღებო იწერება და იბეჭდება. მაგალითებრ პროფესორის პეტრიაშვილის „შესანიშნავი“ შრომანი. ძველი სიგულ გუჯრებიც ხშირად იბეჭდება.

ამ ჟურნალის დაარსებას მალე თან მოჰყვა კვირის სურათებიანი „კვალის“ გამოცემაც. საქმე იქამდის მივიდა, რომ ქართველებში კვირის სურათებიანი გაზეთის გამოცემაც საჭიროთ შეიქმნა. ამ ძნელსა და ძვირს საქმეს ისევ ანასტასია თუმანაშვილ-წერეთლისამ მოჰკიდა ხელი. მან მთავრობას მალე მისცა თხოვნა კვირის სურათებიან „კვა-

ლის“ გამოცემის შესახებ, ნება-რთვა მიიღო. 1893 წლიდამ „კვალმა“ გამოსვლაც იწყო. ამ გაზეთმა ჩვენი მწერლობის ასპარეზზე თავის საკუთარი გზა გაარკვია, თავისებური მისწრაფება აღადგინა, თავის ლტოლვა და მიდრეკილება. მის თანაშრომელთ რიცხვში უმეტესად ახალგაზდები აღმოჩნდნენ, იმერლები, უფრო-კი გურულები. აქ იწყეს პირველად შრომა ეგ. ნინოშვილმა, ნ. ჟორდანიამ ფ. მახარაძემ, ე. დარჩიაშვილმა, გომართელმა, პ. წულუკიძემ, პ. სურგულაძემ და მრავალთაც სხვებმა, ახალ გაზრდებმა, უფრო-კი იმერლებმა-გურულებმა. საშუალ და უმაღლეს სწავლა მიღებულებთ შორის ურევიან თითო ორორლა მდაბიო სკოლიდამ გამოსული ხელოსნებიც. უკანასკნელ ამ ჯგუფს რაღაც შემთხვევით „მესამე დასი“ ეწოდა. არვიცი ეს ვინ და რისთვის უწოდა! მიზეზი რა იყო, პირველ დასელებათ 1860 წლებში გამოსულ მწერლებს სთვლიან. მეორე დასელებათ 1880 წ. და მესამე დასელებათ 1890 წლებში გამოსულთ.

უმთავრესად „კვალის“ თანა მშრომლები ეკონომიური კითხვების წერას გაჰყვნენ. ეკონომიურს კითხვებში ესენი სჯიან ისე როგორც მათი გონება და ჭეშმარიტების წესდება ამცნევს, დანარჩენთან მათ საქმე არა აქვსთ. მათგან ბერი კამათიც ატყდა, ბევრი სიცოცხლით საესე წერილებიც დასწერეს. ბევრი ცოცხალი და თან მეტად საყურადღებო კითხვებიც გაარკვიეს, ბევრი ნიჭით საესე წერილები დასტამბეს, ამ უკანასკნელ წლებს თვალ საჩინოთ დაიმსახურა გომართელმა, ამისი წერილები საყურადღებონი ჰრიან, სანაქებო და მასთან გამოსადეგნიც, მისი წერილი რაფ. ერისთავის და ევდოშვილის შესახებ სანაქებოთ ჩაითვლება, ასეთი წერილები დიდად განვითა-

რებულ ერის მწერლობასაც დავიშვიათდება. ვის არ გვახსოვს 1860 წლების შემდეგ დროის რუსეთის საუკეთესო ჟურნალ განეთების და ნამეტურ პისარევის კალამი, დობროლიუბოვის და სხ.

ივ. გომართელის წერილებმა კვალად მოგვაგონა ეს პირნი და გაგვაცხოველა მათებურის ბრწყინვალეს კალმითა, ჩვენში უნდა ახალგაზდობა არსებობდეს და მათ შესმენა უნდა ჰქონდეთ, რომ ასეთი პირები თავიანთ ბრწყინვალე კალმით შესამჩნევად დააფასონ, ის იდიალები რაც ამათ ნაწერებში ბრწყინვენ, რასაც ესენი ლალადებენ, ის მათ ნათლად და მკაცრად ჩაინერგონ. ასეთივე საყურადღებო წერილები ჰქონდა ფ. მახარაძეს, ნამეტურ ამის შეხედულობა ჩვენი წარსულის ბატონ-ყმობის შესახებ. ნ. ჟორდანიამაც ბევრი მშვენიერი წერილი დასწერა. ბევრი რამ კითხვები გაარკვია თავისებურად. ხალხს ისე არაფერი ენატრება და ეჭირება, როგორც ცოდნა, განვითარება, მომზადება, თვალის გახილება. ყოველ ჩვენის კეთილის მდომისთვის ცოდნის გავრცელება უნდა იყოს უპირველეს საქმეთ და საგნათ გამხდარი. მეორე: რაც შეეხება წერილების წერასაც უფრო ადვილათ უნდა ახერხებდენ, რომ მკითხველმა კარგად, ნათლად გაიგოს, თორემ ევროპიული ხშირი ტერმინების ხმარება ბევრს უძნელებს წერილების კითხვას და გაგებას. ნამეტურ უსწავლელ მუშებს, რომლებიც მე თვით მინახავს ჩემის თვალით და მათი საჩივარიც მომისმენია.

გაზეთი წელიწადში ღირს 7 მ- მკითხველი მასში ყოველთვის ჰპოვებს საკმარისის ნიჭიერებით დაწერილს სამეცნიერო წერილებს, პოლიტიკურს და სიტყვა კაზმულს ნაწერებსაც. გაზეთის გიმოცემის საქმეები მიდის კანონიე-

რად, გაზეთი თითქმის მუდამ კვირა გამოდის დანიშნულ დროს.

ერთი მწუხარება და მაშფოთრობა ჩვენი ამათ შესახებ ის გახლავთ, რომ ახალ დასელბის წრეში ბევრმა ისეთმაც შეაფარა თავი, რომელთაც მცირე რამ ცოდნა პირში და ყელში აქვსთ გახიდული და ლაქლაქა ენით ქვეყანას აბეზრებენ და წარმოიდგინეთ ჩვენი მწუხარება, რომ ამ ლაქლაქით მრავალთ ხიბლავენ კიდეცა, ამიტომ ხშირად ბევრს ალაგას „ასეთი პირნი სჩდებიან როგორც უმეცარნი და უვიცნი და არა განათლების მეძიებელნი და მფენელნი. აი ეს არის ერთად ერთი უბედურება და საწუხი, რომელთა მეოხებითაც მესამე დასელებს უმრავლესობის წინაშე ნდობა და მეცნიერული ძიების პატივისცემა ეკარგებათ. ეს არის საგრძნობელი და საწუხი. ყოველი უმეცარი, რომელმაც ქართული კითხვაც არ იცის და მას მცირე რალაცა კი გაუგია, ისიც-კი ყვირის აქა იქ, რომ მე „მესამე დასელი ვარო“ ამის ანიშვნას აქ ალაგი არა აქვს, მაგრამ რა გაეწყობა, საქმე და უბედურება ისე მოეწყო და ჩვენც მიტომ ავნიშნეთ აქ ეს მწუხრებით. ასეთი პირების მეოსებით პატივისცემა ეკარგებათ ნამდვილ მეცნიერ მესამე დასელებს და ეს ჩვენ დიდათ უნდა გვაწუხებდეს.

1895 წ. ერთი დღიურ გაზეთ „ევერია“ მთავრობისაგან 8 თვით იქნა აღკრძალული. „ევერიის“ დახურვამ ქართველთ შორის სხვა გაზეთის გამოცემის საჭიროება გამოიწვია, ბევრმა ისურვა გაზეთის გამოცემა. ვალ. გუნიამ მთავრობას თხოვნა მისცა, სულ უბრალო გაზეთ „ცნობის ფურცლის“ გამოცემის შესახებ. ეს თხოვნა მთავრობამ მალე შეიწყნარა. იმავ წელს ნება-რთვა მიიღო და 1895 წლის დეკემბრის თვიდგან გამოცემაც იწყო.

„ცნობის ფურცელი“ 1900 წ. ვ. გუნიმ ალ. ჭყონიას გარდასცა. რედაქტორად ეს პირი იყო და გამომცემლად ალ. ჯაბადარი. მეორე წლის გასულს, ანუ 1901 წ. ბოლოს რედაქტორობას ალ. ჭყონიამ თავი გაანება. დროებით ალ. ჯაბადარია. 1901 წლის შუა რიცხვებიდგან დღიურ „ცნობის ფურცელს“ კვირის სურათებიანი დამატებაც მიუმატეს და ეხლა „ცნობის ფურცელი“ და მისი დამატება და „მოამბე“ წელიწადში თუმანი ღირს, ძრიელ იაფია. გაზეთი გამოდის ცოცხლად და მრავალ ნაირის ამბებით სავსე. მკითხველს ბევრს ამბებს აწვდიან წასაკითხათ. ბევრი რამ შესანიშნავი ცნობები, წერილები და საკითხავი ფელეტონები იბეჭდება მასში. მის მეთაურად ცნობილი ნიჭიერი გ. ლასხიშვილი ითვლება. ჩვენს მწერლობაში კარგად ცნობილი ლალის ფსევდონიმით. ბ. არჩილ ჯორჯაძემაც საკმარისი პატივისცემა მოიშოვა თავის შესამცნევის წერილებით. გაზეთის ხელის მოწერას დღითი დღე ემატება, დღეს მის ხელის მომწერთ რიცხვი 2000-მდე არის. ეს ბედი ჯერ არც ერთ ქართულ გაზეთს არ ჰქონია ახ, სად არის ნეტარ ხსენებული მშრომელი სერგეი მესხი, იმედია რომ რაც ხანი გავა, მით გაზეთს ხელის მომწერლებიც კვალად მიემატება. ღმერთმა ქმნას.

ამ გაზეთის გამოცემის შემდეგ ცხრამეტ საუკუნის მიწურული წლებიც დადგა, ქართულ მწერლობის ასპარეზზე კვალად გამოიცა თვიური ჟურნალი „კრებული“. ამ ჟურნალის გამოცემით მის რედაქტორს, აკაკის დიდი ხნის ნატვრა შეუსრულდა, დიდი ხანია, რაც ამ მგოსანს თავის საკუთარი ჟურნალის გამოცემა სურდა. 1897 წ. იწყო „კრებულის“ გამოცემა. ეს ჟურნალი აკაკის რე-

დაკტორობით დღეს ქუთაისში იბეჭდება. მრავალ წაირ ღირსებასთან ამ ჟურნალს ერთი სხვა დიდი ღირსებაც აქვს, მაგალითებრ: მასში იბეჭდება ზეპირ-თქმულებანი ქართულის ერის სულის და გულის, რაც დიდს მასალას უმზადებს მომავლის ქართულ განათლებულ მწერალ-მკელევრებს. ეს მასალები არის საუნჯე ისეთის სამყაროსი, რაზედაც დაფუძნდა თვით ევროპიელთ მსწავლულთ „სოციალოგიური“ მეცნიერება და ანთროპოლოგია. სულ რომ არა ითქვას-რა "კრებულის" შესახებ, მარტოდ ეს სამსახურიც კმარა მისგან, მარტოდ ეს განყოფილებაც საკმარისია. მომავალში ქართველთა შორის ვერც სპენსერი გაჩნდება, ვერც ტაილორი, ვერც ფოხტი, ვერც დიდებული გიოტეს და ბაირონის ცალი, თუ მათ ეს ერის საუნჯე და სალარო არ შეეკრიბათ და არ დაიბეჭდა. ამიტომ აკაკის ჩვენ დიდის პატივის ცემით ეუმზერთ, ეაფასებთ მის მალალ განსჭვრეტას, სამერმისო ქართველთ განვითარებულ მკელევართათვის მასალების შემზადებას, ამ მასალების დაუკარგველობა დღეს შეიძლება უმნიშვნელოდ მიგვაჩნდეს, მაგრამ დრო მოვა, როცა მას დიდ ძალი პატივისმცემლები გამოუჩნდება. აკაკი საქებია მით უფრო, რადგანაც იგი თავის კალმის ნაწარმოების გვერდით ზეპირ თქმულებასაც სიამაყით ათავსებს. აკაკის ამ საქმის აღსრულებაში მარჯვენა მკლავს შეადგენდა ცნობილი სამშობლო ქვეყნის უანგარო მოღვაწე-მკურნალი ვახტანგ ღამბაშიძე.

„მოგზაური“ სურათებიანი თვიური ისტორიული და ეთნოგრაფიული ჟურნალი, დაიწყო გამოსვლა 1901 წ. იანვრიდამ, იოანე როსტომაშვილის რედაქტორობით. ამ ჟურნალში ისტორიულს და ეთნოგრაფიულს ნაწილს გარდა სახალხო სიტყვიერებასაც დიდი ადგილი აქვს დათმო-

ბილი. წელიწადში 5 მ. ღირს. „კრებულის“ შემდეგ ეს ჟურნალი ქართულს ენაზე თითქმის ერთად ერთ ორგინალურ გამოცემათ ითვლება.

დასრულდა ეს საუკუნეც და ჩვენც ამით დავასრულეთ ეს წერილი. ჩვენ, ქართველთ გამოცომათა შესახებ, ბევრი რამ არ ვსთქვით, რადგანაც ჩვენ მარტოდ ნატერა გექონდა აღგვენიშნა მხოლოდ გამოცემათა დრო და ცნობები, რათა ქართველს მცირეთ მაინც გაეცნო ჩვენი მწერლობის ისტორიის მასალები.

საქართველოში გაზეთის მსგავი ფურცელების ბეჭდვა 1760 წ. შემდეგ იწყეს, ანუ ქართლ-კახეთის დაკავშირებიდამ, როცა ამ ორი კუთხის მეფედ ერეკლე 11-რე გამოცხადდა, ორის კუთხის ერთად დაკავშირებამ გამოიწვია სამეფოს სიძლიერეც. ახალმა შეერთებულმა ძალამ ბევრი რამ შექმნა ქვეყნის სასარგებლოდ. სამოსამორთლო მხარემ წმინდა ქართული სული ჩაიდგა, ქართული, ქრისტიანური სახე მიიღო. მინამდეკი ქართველთ სამეფოს კანონდებულებას, გამგეობას და თვით მოქალაქობასაც-კი ნამდვილი, თათრული, მუსულმანური ძალა ჰფლობდა, იგი მკაცრად ემორჩილებდა სპარსულ გემოვნებას და მიდრეკილებას. ჰინით შეღებილი წვერი, წარბები, თითები, ტანზედ ყაბა, კაბა, ქულაჯა, ქოშები და სხვა. დედაკაცთათვის ჩადრი, პირბადე, ბურნუთის კოლოფი და კრიელოსანი. ეს იყო გარეგან სურათი ჩვენის გვაროვნობის ძლიერებისა და შინაგან სურათებიც რასაკვირველია გარეგან სახიერებას მკაცრად უახლოვდებოდა. სამეფო მოხლეთ შორის არსებობდა სრული მონობა. მუხლით ჩოქვა, გულზედ ხელების წყობა, მუდარებით „ფეხთა მტვერის, ანუ მონა ყმა ბატონის“ ძახილი. ყველა ეს უძლიერესად და-

ინჯღრა მას შემდეგ, რაც ქართლ-კახეთი ერთად დაკავშირდა. მის მეფე ცხეთაში ქრისტიანების წესით დაგვირგვინდა. სამეფო გამგეობამ ქართული სახე მიიღო. სამეფო სტამბის განახლების საქმეც წინ იქმნა წამოყენებული. სამეფოს ხარჯით მალე განახლდა საქმე. მოკლეს დროს სტამბაში წიგნების ბეჭდვაც იწყეს. 1763 წ. ამავ სტამბაში გამოიცა გაზეთის მსგავსად ერთი თაბხიან ქაღალდის ნაბეჭდი ფურცელი, რომელსაც სახელად „ბრძანება და უწყება“ ეწერა. ამ „ბრძანებასა და უწყებაში“ იბეჭდებოდა სამეფო ცნობანი, მაგალითებრ სხვა და სხვა მოურავთათვის საუწყებლი ცნობანი. ბრძანება გვარასშვილობის აყრაზედ, მამულების ჩამორთმევაზედ, გვარისშვილობის ბოძებაზედ. სამეფო ბრძანება; მეფის მოწყალება. მოხმობა, მდევრის ძახილი და სხვაც ამ გვარნი საჭირო უწყებანი. ამავ უწყებასა და ბრძანებაში იბეჭდებოდა სასულიერო ცნობანიც, მაგალითებრ: პატრიარქის ბრძანება და განკრეულება, რომელიც სხვა და სხვა მღვდელთა და ეპისკოპოზთ უნდა წასელოდათ თფილისიდგან და უწყებოდათ ყოველივე. ეს „ბრძანება და უწყება“ გამოდიოდა ისე, როგორც იმ დროს პეტერბურგში რუსული „პეტერბურგის უწყება“ ისტამბებოდა. ხოლო ქართულს კი უფრო განცხადების ფერი ედო. ანუ ზემოხსენებულსავე „პეტერბურგის უწყების“ დამატების ზედა ფერი ედო. როგორც ვიცით, ეს „ბრძანება და უწყება“ 1769 წლების შემდეგ აღარ გამოსულა. მიზეზი არ ვიცით, არც ის სჩანს, თუ რა და რა დროს გამოდიოდა იგი და ან რა გვარ იბარებდნენ, ფასს იხდიდნენ თუ არა. უფრო-კი საფიქრელია, რომ იგი იბეჭდებოდა იმ დროს, როცა საკმარისი ცნობა მოგროვდებოდა. ფასის გადახდაც არ უნდა სცოდ-

ნოდათ, არამედ მას ურიგებდნენ ეითაარცა სამეფო ცნობათა საუწყებელ განკარგულებას. საუბედუროთ ამ გამოცემათა ფურცლებმა ჩვენს დროამდე ვერ მოაღწიეს, მარტოდ სათაურის ფურცლები-კი ვნახეთ, რამაც გვაუწყა აღნიშნელი ცნობანი. უნდა მოგახსენოთ, რომ საქართველოში, ამ გამოცემის გარდა, 1783 წ. გამოიცა მეორე ამ გვარიევ განცხადების ფურცელი. კვალადვე სამეფოს ბრძანებით, რომელ განცხადებსაც სახელად „ლეპორტი“ ეწოდა, „ლეპორტიც“ ისევე გამოდიოდა, როგორც „ბრძანება და უწყება“. „ლეპორტი“ მდაბიოთ შორის ძრიელ გავრცელდა. საქმე ისე წავიდა, რომ ძველად ანდაზასავებ გარდაიქცა შემდეგი თქმულება გლეხთა შორის, რომ „ლეპორტი“ მომიეიდა, „ლეპორტი“ მომერთო და მრავალიც ამ გვარი სხვანი. „ლეპორტის“ ხსენება, ცნობანი და ბეჭდვის ამბები ადრე ჩვენმა მწიგნობარ მოხუცებულთა კარგად იცოდნენ და მასთან ხშირადაც ახსენებდნენ, რომ „ლეპორტი“ გაზეთი იყოვო. ასევე სთქვა ქართველ ცენზორად ყოფილმა ლ. ს.-ძე ისარლოვმა, მოხუცებულმა კაცმა, რომელმაც ქართველთ შესხებ ბევრი რამ ძველი ამბები იცოდა. ეს ამბები მეც კარგად ვიცოდი, მაგრამ წერით-კი ვერა ვწერდი, რადგანაც მერიდებოდა, სადმე რომ მეთქვა რამე, თუ ქართველ მეფეების დროს, ქართულს ენაზედ გაზეთის მსგავსი განცხადება იბეჭდებოდაო. ვინ იცის მაშინ რა გვარი გმობა არ მოეძღვნათ, დრო ასეთი იყო და მაშინდელ დროებრში ქართველთ უმეცრების გარეშე სხვას არავინ რას ხედავდა და აბა გაზეთი რომ გვეხსენებინა, ეს ხომ სულ შორს წავიდოდა. დღესაც ისევ ისეა ჩვენდა საუბედუროთ და მრავალნი ჩვენს წარსულში უმეცრების და უვიცობის მეტს

სხვას არს ხედავდენ. „ლეპორტის“ გამოცემის უმთავრეს მიზეზათ-კი გამხდარა ის გარემოება, რომ 1782 წ. თფილისში, მეფე ერეკლეს ბრძანებით განახლდა ქართული სტამბა, რომელიც პროფესორის ა. ცაგარლის სიტყვით 30 ათასი მანეთი დამჯდარა, გარდა ამის ამავე წელს, თელავში, ანტონ კათოლიკოზმა გახსნა ქართული სემენარია. მავრო პატრი და სხვანი რომის სენატში გაიგზავნენ დახმარების სათხოვნელად. საქართველო რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინას მფარველობის ქვეშ იქმნა შესული. ამ წელს ბევრი კიდეე სხვა საქმეები დაფუძნდა და გაკეთდა, რომელთათვისაც საჭირო იყო აგრეთვე სხვა-და-სხვა ცნობათა ბეჭდვა და უწყება, გარდა ამის, რომ 1782 წ. განახლებულს და გაფართობულს ქართულს სამეფო სტამბაში არ იქმნებოდა ძნელი, რომ რამე გაზეთის მსგავსი ფურცლები ებეჭდოთ, ამას გამოაჩენს ის გარემოებაც, რომ თვით ამ ხსენებულ სტამბის განახლების ისტორიაც-კი ცალკე წიგნავათ დაუბეჭდავათ და გამოუციათ. ამიტომ მოვიყვანთ შემდეგს:

XVIII საუკუნის შუა რიცხვებში. ქ. თფილის გახსნილი სტამბა დროთა მიმდინარეობის მეოხებით სიძველეს მიეცა. სტამბის იარაღები ისე გაფუჭდა, რომ მით მუშაკობა შეუძლებელი იყო. სტამბისთვის საჭირო იყო აღმდგენი ოსტატი, განმანახლებელი. ამ დროს, თფილისში იმყოფებოდა კოსტანტინეპოლის ბერძენთ არქიმანდრიტი მელეტიოსი. ეს არქიმანდრიტი კოსტანტინეპოლს მიემგზავრებოდა, ამას მეფე ერეკლემ დაავალა, რომ ეგები სტამბოლში სტამბის ოსტატები მიეშოვნო და თფილიში გამოიმგზავნოთო.

სტამბოლში მისულმა მელეტიოსმა მალე იპოვნა მე-

სტამბენი: პოლოს ოჰანეზოვი და ტერდავით ტერ ოჰანეზოვი. ესენი შეაგულიანა მელიტიოს არქიმანდრიტმა და საქართველოში გამოგზავნა. მეფე ერეკლეს კარზედ ესენი მალე მოვიდნენ, წარსდგნენ მეფის წინაშე და ყოველივე ცნობა აუწყეს, მეფემ მიიღო იგინი და მათის მეოხებით ძველი სტამბაც განახლდა.

საქართველოში სტამბის დაარსების და ამ ახალად აღორძინებულის სტამბის ისტორია მის განმანახლებელთა ქართულად დაწერეს, ნაწერი მეფე ერეკლეს მიუძღვნეს და იგი 1782 წ. ცალკე წიგნათაც გამოსცეს. ასე, რომ სადაც-კი სტამბის ეს ისტორიაც დაიბეჭდა, იქ, იმ დროს, რამე ქართული გაზეთის გამოცემის საქმე ძნელი და სათუო არ იქმნებოდა.

ფ. ჯ.

1900 წ.